გ. 5

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.
№54 (1492) 28-31 ოქტომბერი, 1996 წელი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

## ზვიად გამსახურდია

### დოკუმენტური ისტორია ზ. გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვისა

## ქვეყნდება პირველად

ზვიად გამსახურდია: თუ ყველაფერი მოთავებულია, უნდა გავჩუმდე და თქვენ რაც გინდათ, ის გამოიტანეთ, ის დაადგინეთ...

↓

გიორგი ციციშვილი: რანაირად შეფასდება ეს თქვენი საქციელი?

↓

გიორგი მერკვილაძე: ზვიადის გამოსვლამ ჩვენ მაინც ვერ დაგვარწმუნა...

↓

გურამ ფანჯიკიძე: არ მინდა ამ გაჭირვებულ დროს ბრალმდებელი გამოვიდე

↓

არჩილ სულაკაური: მეც იგივე მინდა ვთქვა, რაც გურამმა

მეორე გვერდი

## უდანაშაულოდ დახვრეტილი გოჩა ჯიქიას მშობლები რედაქციაში მოვიდნენ

მთელმა საქართველომ იცის შემზარავი ფაქტის შესახებ, როცა ზუგდიდში დედის თვალწინ, დედის ვედრების მიუხედავად - მე მომკალითო, - დახვრიტეს უდანაშაულო ახალგაზრდა გოჩა ჯიქია. მას შემდეგ 5 წელი გავიდა. ყველა დონეზე ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ჯიქიას მკვლელი თუ მკვლელები დაისჯებიან. მაგრამ...

რა ხდება ბატონებო?

ვისაც ეხება ეს საქმე, იქნებ გვაცნობოს, რა უშლის ხელს სახელმწიფოს, რომ აღასრულოს სამართლიანობა.

გუშინ რედაქციაში მობრძანდნენ მოკლულის მშობლები. ძნელია მათი მოსმენა...

ეს პატარა ბარათი დაგვიტოვეს გამოსაქვეყნებლად და უიმედოდ წავიდნენ...

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრს
ბატონ ნიკო ლეკიშვილს
სახელმწიფო უშიშროების მინისტრს
ბატონ შოთა კვირაიას
საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ჯამლეთ ბაბილაშვილს
შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ კახა თარგამაძეს
ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის
ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარეს
საქართველოს ტელე-რადიო კორპორაციის თავმჯდომარეს
ბატონ არჩილ გოგელიას

## განცხადება

ხუთი წელი სრულდება ჩვენი შვილის გოჩა ჯიქიას დახვრეტის დღიდან. მეხუთე წელია ვეძებთ სამართალს უშედეგოდ. მეხუთე წელია გვატყუებს რესპუბლიკის პროკურატურა, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, მინისტრთა კაბინეტი, რესპუბლიკის პარლამენტი, სახელმწიფოს მეთაურის აპარატი, „მოქალაქეთა კავშირის" სამდივნო და სამეგრელოსა და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია.

უმიზეზოდ დახვრეტილი ჩვენი შვილის გოჩა ჯიქიას ქვრივსა და ობლებს საქართველოში არ მისცეს ცხოვრების ელემენტარული პირობები და იძულებული გახადეს უკრაინაში წასულიყვნენ საცხოვრებლად ჩვენი რძლის მშობლებთან.

ჩვენ, გაუბედურებულ მშობლებს, არ მოგვცეს სიმართლის თქმის უფლება სამხარეო ადმინისტრაციის აქტივის კრებაზე და მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, არ დაგვიშვეს პარლამენტის სხდომაზე და არ მოგვცეს უფლება ტელევიზიით პირდაპირი ეთერით სარგებლობისა რამდენიმე წუთით. სრულიად საქართველოსათვის არ გვათქმევინეს სიმართლე.

გაგვაგებინეთ, რატომ მოგვიკლეს თვალწინ უდანაშაულო შვილი? რაში დებენ ბრალს ჩვენს გოჩას? რა დააშავა მისმა ქვრივმა და ორმა პატარა ობოლმა გოგონამ? რაში ვართ ჩვენ – გოჩას გაუბედურებული მშობლები დამნაშავე?

გვიპასუხეთ, რატომ მფარველობენ მკვლელ ჯალათ ვახტანგ გიორგაძეს და მის თანამზრახველებს, რატომ იჩენენ უკიდურესად გულქვაობას?

რა სინდის-ნამუსით მფარველობენ მეგრელთა სისხლით გამაძღარ და გალეშილ ტყიბულელ ჯალათ ვახტანგ გიორგაძეს გენერლები ჯემალ ჭუმბურიძე და ჯონი ქარჩავა? რა ძალით უპირისპირდება ეს ორი პიროვნება მთელ ხელისუფლებას?

რატომ დუმს „მოქალაქეთა კავშირი" და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მათაც ხომ არა აქვთ გოჩას სისხლში ხელები გასვრილი?

მოვითხოვთ, ამჯერად მაინც, მკვლელობიდან ხუთი წლის თავზე, მიღებულ იქნას რადიკალური ზომები დამნაშავეთა მიმართ.

გოჩა ჯიქიას მშობლები:
თამარ შერაზადიშვილი
ჭიჭიკო ჯიქია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაარსდება შავი ზღვის ბანკი

საქართველოს კორესპონდენტის ცნობით, გუშინ მოსკოვში დასრულდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრა, რომელზეც მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შავი ზღვის ბანკის დაარსების შესახებ. ბანკის საწესდებო კაპიტალი იქნება 2 მილიარდი დოლარი, ხოლო მისი ერთ-ერთი ფილიალი თბილისშიც დაარსდება.

ИБЕРИА

## გიორგი ტიხონოვის განცხადება

რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის საქმეთა და თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ტიხონოვმა განაცხადა, რომ საქართველოს არავითარი უფლება არა აქვს მოითხოვოს შავი ზღვის ფლოტის თუნდაც ერთი ხომალდი. ტიხონოვის თქმით, საქართველოს პრეტენზიები შავი ზღვის ფლოტის ერთ ნაწილზეც კი აბსურდულია. ტიხონოვის აზრით, საქართველომ მიიტაცა შავი ზღვის ფლოტის ბაზა ქალაქ ფოთში, რაც რუსეთის იმდროინდელი თავდაცვის მინისტრის პაველ გრაჩოვის დანაშაულებრივი დაუდევრობის შედეგად მიაჩნია.

იბერია

## კონსტანტინე ოზგანის განცხადება

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა კონსტანტინე ოზგანმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია გაეროსა და ეუთოთათბირის რეაქცია აფხაზეთში დანიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ამ არჩევნებს არავითარი კავშირი არა აქვს საქართველოსთან. ეს მხოლოდ აფხაზეთის საშინაო საქმეა, - განაცხადა კონსტანტინე ოზგანმა. მისივე თქმით, აფხაზეთის ხელისუფლება მზად არის მოიწვიოს დამკვირვებლები როგორც გაეროდან, ასევე ეუთოთათბირიდან, რათა ისინი თავად დარწმუნდნენ აფხაზეთის არჩევნების დემოკრატიულობაში.

იბერია

## დაპირისპირებას ვერ მოახერხებენ

22 ოქტომბერს გაიმართა სრულიად საქართველოს ეპმ. „ჭყონდიდელის“ მესამე რიგგარეშე და საგანგებო ყრილობა, რომელმაც განიხილა შიდა ორგანიზაციული საკითხები. დარჩა რა ერთგული თავისი წესდებისა, საკუთარი ამოცანების უკეთ წარმოსაჩენად ცვლილებები შეიტანა ამ პოლიტიკური ორგანიზაციის სახელწოდებაში - მას ეწოდა იბერიულ-კავკასიური მოძრაობა „ჭყონდიდელის ეროვნული ლაშქარი“.

აღნიშნულმა ყრილობამ თავის რეზოლუციაში განმარტა, რომ მის საქმიანობას საფუძვლად უდევს ის კონცეფცია, რომელიც 1992 წლის 12 აგვისტოს დაზუსტდა ზვიად გამსახურდიას მიერ და დაამტკიცეს „ჭყონდიდელის“ პირველმა დამფუძნებელმა და მეორე საგანგებო ყრილობებმა.

მესამე რიგგარეშე ყრილობის მიერ მიღებულ დოკუმენტებში აღნიშნა, რომ დესტრუქციული ძალები ვერ მოახერხებენ იბერიულ-კავკასიური მოძრაობა „ჭყონდიდელის ეროვნული ლაშქარის“ დაპირისპირებას „მრგვალ მაგიდასთან“, ვინაიდან მისი სამოქმედო პროგრამის საფუძველია ზვიად გამსახურდიას მიმართვა ქართველი ერისადმი 1992 წლის 12 თებერვალს.

პრესცენტრი

# ვინ იყო ვინ?

### მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

# დოკუმენტური ისტორია ზ. გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვისა

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „საქართველო“ №51,52

**ქვეყნდება პირველად**

## სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომისა 1977 წლის 1 აპრილი

### თავმჯდომარეობს - გრიგოლ აბაშიძე

**ხმები** - სთქვას

**ზ.გამსახურდია** - საერთოდ, რა უნდა მოგახსენოთ. სასამართლო რომ სასამართლოა, მას თავისი წესი აქვს - საბჭოთა კავშირსა თუ უცხოეთში, არსებობს იურისპრუდენცია, არსებობს კანონი. თუ ყველაფერი მოთავებულია, უნდა გავჩუმდე და თქვენ რაც გინდათ, ის გამოიტანეთ, ის დაადგინეთ. არ შეიძლება, სანამ სასამართლო არ დაადგენს დანაშაულს, კაცი დაისაჯოს და იმის თქმა, რომ ეს სიმართლეა იმიტომ, რომ პრესაშია. პრესას შეიძლება შეეშალოს. ვერც პრესა გასწევს სასამართლოობას და ვერც პროკურატურა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ სასამართლო აღარ იქნებოდა. პროკურატურა გამოთქვამს თავის აზრს და მას, რომ შეეძლოს გადაწყვეტა, მაშინ სასამართლო არ იქნებოდა საჭირო. მარტო პროკურატურის აზრი რომ იყოს კომპეტენტური, სასამართლო აღარ იარსებებდა, სასამართლო იმიტომ არსებობს, რომ დაადგინოს სიმართლე, ის სიმართლე, რომელსაც ვერ ადგენს პროკურატურა.

რატომ არსებობს სასამართლო და შეიძლება თუ არა ასე სროლა ადამიანის მიმართ ინსინუაციების და ყველაფერი ის, რასაც პრესა აკეთებს?! ყველაფერი, რაც ენაზე მოადგება „სოვეტსკაია კულტურის“ - კორესპონდენტს, გადმოეგზავნება აქ და იბეჭდება. ან თუნდაც ის, რომ მე რადიო „სვობოდას“ ვუგზავნი მასალებს. როგორ შეიძლება ასე დაბრალება? და რამდენი უნდა მოვთვალო?

აი, თვით აქ რაც წამძლვარებულია. მე არ ვიცი, სად გამოდის ეს ჟურნალი, ვის მიერ. მე ვწერ და ვაძლევ მეგობრებს. მე ვწერ და რასაც ხელს ვაწერ, სამწუხაროდ, არ იბეჭდება, ცენზურა მკაცრია, ამიტომ ვაძლევ ნაცნობ-მეგობრებს. მაგალითად, ძეგლთა დაცვის მდგომარეობაზე დავწერე, პრესის ყველა ორგანოს მივმართე. არ დამიბეჭდეს და შემდეგ გადავწყვიტე მიმეწოდებინა ხალხისათვის.

რაც შეეხება პროკლამაციას, არ მინახია, არც მითარგმნია და საერთოდ მე არ ვარ საბჭოთა წყობილების მტერი, არც მისი დამხობის მომხრე და არც არავის მოვუწოდებ ამისკენ. თუ მე რამეს ვწერ, ვაკრიტიკებ რომელიმე დაწესებულებას, ეს არ ნიშნავს, რომ მე ვარ მტერი.

ნუ აიღებთ თქვენს თავზე სასამართლოს ფუნქციას, მე ვიცი, თქვენ ეს დაგეგმილი გაქვთ და, რაც არ უნდა ვთქვა, თქვენ ვერაფერს შესცვლით, ეს გადაწყვეტილია. მაგრამ თქვენ სასამართლო არ ბრძანდებით, თქვენა ხართ მწერალთა წრე.

არავითარი მაღლაკელიძის შესახებ წერილის ავტორი მე არა ვარ. გადახედეთ და ნახავთ - არც ერთი სიტყვა ჩემი არ არის.

და, სხვათაშორის, მაღლაკელიძის შესახებ უნდა მოგახსენოთ. ის თქვენი „მერნის“ კონსულტანტი იყო, თუ ის ფაშისტი იყო, რატომ არ მოხვდა ნიურნბერგის პროცესში? იმიტომ, რომ სწორედ ის იყო ანტიჰიტლერელი, ანტიფაშისტი, უბრალოდ სამხედრო. ის გახლდათ შულენ ბერგერის დაჯგუფების წევრი, ანტიფაშისტი. მე არც ვიცნობდი და არც ვმეგობრობდი მაღლაკელიძეს, ის თქვენი გამომცემლობა „მერნის“ თანამშრომელი იყო წლების განმავლობაში და ყველა თქვენგანს მასთან პური უჭამია და კარგი სიტყვა უთქვამს (გაჟორჟოლიანი - მე არ ვარ მაგ წერილის ავტორიო... თუ სასამართლო დაამტკიცებს, რომ მე ვარ მაგ წერილის ავტორი, ან ეს პროკლამაციაც ჩემი თარგმნილია... მე არ ვაწერ ხელს ჟურნალს და იმიტომ კი არა, რომ მე მეშინია. არა, მე არა ვარ მშიშარა. მე არ ვიცი, სად გამოდის ეს ჟურნალი. ამ ჟურნალში ყველაფერი - რაც ფაქტიური მასალაა - სიმართლეა და მე ამაზე ვაწერ ხელს.

**გ.ციციშვილი** - თქვენ ამბობთ, რომ არ იცით, სად გამოდის, ვინ არის რედაქტორი და ხელმძღვანელი. გაქვთ თუ არა უფლება მწერალთა კავშირის წევრს ბეჭდოთ, დაუშვათ თუნდაც უწყინარი კორესპონდენცია იმ ჟურნალში, რომლის არც რედაქტორი იცით, არც შემდგენელი, არც ინიციატორი, არც ფასი აწერია და ის კი ნამდვილად იცით, რომ არალეგალური ჟურნალია. მე პირადად არც მინახია ეს ჟურნალი. ეს რომ ყოფილიყო დაბეჭდილი „ცისკარში“, „მნათობში“, გამოვიდოდი, შევაფასებდი.

რანაირად შეფასდება ეს თქვენი საქციელი ამ შემთხვევაში, როცა თქვენ ბეჭდავთ იმ ჟურნალში?

**ზ.გამსახურდია** - ბატონო გიორგი, ეს ისეთი ჟურნალია, სადაც შეიძლება ხვალ თქვენი ნაწარმოებიც მოხვდეს. მე ჩემს ნაწარმოებებს ვუშვებ ჩემს ნაცნობ-მეგობრებში, ისეთებს, რომლებსაც არ მიბეჭდავს პრესა. იქ რედაქცია და კანტორა კი არ არის, როგორც წერენ, არავითარი კანტორა არ არის. ეს გეშლებათ. ეს ყველაფერი დასადგენია და გასარკვევი და რაც განზრახული გაქვთ უკვე, შეგიძლიათ გადაწყვიტოთ.

**თავმჯდომარე** - ბატონო გიორგი!

**გ.მერკვილაძე** - ზვიადის გამოსვლამ ჩვენ მაინც ვერ დაგვარწმუნა, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს. მაინც ფაქტებს თავისი ლოგიკა აქვს და არა მგონია, რომ თქვენ არ იცოდეთ ამ ჟურნალის ასავალ-დასავალი. ბოლოსა და ბოლოს თქვენი ნების გარეშე როგორ იბეჭდება? თქვენ სრული უფლება გქონდათ პროტესტი გაგეცხადებინათ ოფიციალურად, როგორც ეს მოხდა მოსკოვის გაზეთებში. და რაკი ეს ასე არ არის, თქვენ თანამშრომლობთ ამ ჟურნალში და თანაუგრძნობთ ამ ჟურნალის პოზიციას.

კავშირის წევრად ყოფნა იმას ნიშნავს, რაც ევალება, უნდა დაიცვას, თქვენი პოზიცია ამას ეწინააღმდეგება. ბუნებრივად ისმება საკითხი. თქვენი საქმიანობის შეფასება იმ მოვლენების გარეშე არ შეიძლება.

თქვენ თქვენი ნიჭით, თქვენი ოჯახის ტრადიციებით, რასაკვირველია, კავშირში უნდა იყოთ ჩვენთან და თქვენი პრაქტიკული საქმიანობა საწინააღმდეგოა ამისა. ამიტომ მეც მხარს ვუჭერ წინადადებას, რომ თქვენი კავშირში ყოფნა შეუთავსებელია კავშირის წევრის მოვალეობასთან.

**თავმჯდომარე** - გურამ!

**გ.ფანჯიკიძე** - მე ვარ ძალიან ცუდ დღეში და ძალიან მიჭირს დღეს გამოსვლა, ვინაიდან ორი წელია მე და ზვიადი ერთმანეთს არ ველაპარაკებით, რადგან გვქონდა ძალიან დიდი ჩხუბი. ახლა არ მინდა ამ გაჭირვებულ დროს ბრალმდებელი გამოვიდე, ვინაიდან არ დავემსგავსო ჩასაფრებულ მტერს.

მიუხედავად ამისა, მე ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს.

ისე კი არსებობს წესდება. მაგალითად, პარტიიდან რიცხავენ კაცს, თუ სამი თვის საწევრო არ გადაიხადა, ვინაიდან ზვიადი არ ემორჩილება მწერალთა კავშირის წესდებას, არ იზიარებს მის პროგრამას, თვითონვე უნდა გასულიყო ამ კავშირიდან.

რასაკვირველია, მე ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს, მაგრამ ძალიან ცუდ დღეში ვარ.

**თავმჯდომარე** - ხომ არ სურს ვინმეს კიდევ გამოთქვას აზრი?

**ხმები** - ყველამ გამოთქვას თავისი აზრი, ყველამ!

**თავმჯდომარე** - არჩილ!

**ა.სულაკაური** - მეც იგივე მინდა ვთქვა, რაც გურამმა. მე და ზვიადს არა გვაქვს კარგი ურთიერთობა დიდიხანია. მე, როგორც თქვენ, პირველად გავიგე პრესიდან ეს ამბები. მე პრინციპულად არ ვკითხულობდი, რასაც ეგ წერდა, მაგრამ ახლა რადაცნაირად, ბატონი ირაკლის გამოსვლის შემდეგ, არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო იმას, რომ პიროვნება უარყოფს, იმას ამბობს, რომ არავითარი კავშირი არა ჰქონია...

**ზ.გამსახურდია** - კავშირი კი მქონდა, ჩემი მასალა დაბეჭდილია, ამას ყველა ხედავს, მაგრამ ეს სად და როგორ გამოდის, მე არ ვიცი.

ისიც მართალია, რომ სასამართლომ უნდა დაადგინოს. ზვიადი ისე უნდა მოსულიყო, რომ სასამართლოს უნდა დაემტკიცებინა ეს.

ისე ვიზიარებ საერთო აზრს.

**თ.ჭილაძე** - ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს.

**თავმჯდომარე** - გურამ!

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევაზ მიშველაძე: როდესაც იმის სახსრები არ გაქვს, რომ აფხაზეთიდან ოთხმოცდაათი დამწვარი ბიჭის გვამი ჩამოასვენო, რა სამეჯლისო საღამოებს მიტარებ?!

– მოგმართავთ ასეთი შეკითხვით: ბატონო რეზო, რა აწუხებს დღეს რევაზ მიშველაძეს?

– ერთი პოეტის თქმისა არ იყოს, „სასიხარულოს ცოტას გვაძლევს ცხოვრება ჩვენი". მე ძალიან ბევრი რამ მაწუხებს და თუ ვინმეს დღეს ჩემი განწყობილება აინტერესებს, ჩემი განწყობილება არის ძალიან სევდიანი, მგლოვიარე. თქვენ არ გეგონოთ, რომ მე ამას ჩემი უბედური ცხოვრებიდან გამომდინარე ვამბობდე. მე ჯარისკაცის მამა ვარ და ჯარისკაცი ომში რომ წავა, ან დაბრუნდება, ან ვერ დაბრუნდება. როდესაც ჩემმა შვილმა აიღო ავტომატი და წასვლა გადაწყვიტა, მე, ნელ-ნელა ვუტყდები ჩემს თავს, შინაგანად შეგუებული ვიყავი იმას, რომ ის შეიძლება ვერ დაბრუნებულიყო. თუ ჩემი ორი სტრიქონი მაინც წაგიკითხავთ, გეცოდინებათ, არაგულახდილ წერასა და ლაპარაკს ჩვეული არა ვარ, ამიტომ გულახდილად გეტყვით, რომ მორალური უფლება არ მქონდა, რაკი რაღაცას ვჯღაბნი და ჩემს თავს მწერალს ვუწოდებ, ჩემი შვილი გადამემალა, როგორც ეს ჩვენი ხელისუფლების „საყვარელმა" წარმომადგენლებმა გააკეთეს. მე, ვისაც გინდათ, დაგისახელებთ...

– ვის დაგვისახელებთ?

– ყველას. რას ჰქვია ვის დავასახელებდი?! ვინც იყო მაშინ, იმ ომის დროს სახელმწიფოს ხელმძღვანელი, ყველას უკლებლივ.

თავისი შვილი არც ერთმა არ გაგზავნა და ერთმა მათგანმა იცით რა გააკეთა?! (იგი ჩემთან სახლში უამრავჯერაა ნამყოფი, უნივერსიტეტის თანამშრომელიც იყო). როდესაც მოხალისეები აეროპორტში მივიდნენ აფხაზეთში წასასვლელად, თვითონ ადგენდა ამ სიას. გამოაცხადა კიდეც: „აი, რევაზ მიშველაძის შვილიც მიდის აფხაზეთშიო". ამით მაგალითი უჩვენა დანარჩენებს. „ნუ შეშინდებით ბიჭებო, ადით თვითმფრინავშიო", – და ბიჭებიც თავდახრილი, ავტომატებით ხელში წავიდნენ სამშობლოს დასაცავად. იმავე საათში თავისი შვილი ფრანკფურტში გააგზავნა მეორე თვითმფრინავით, გიტარით ხელში და დოლარებით ჯიბეში. მის შვილს აუცილებლად გერმანიაში უნდა ესწავლა! ასეთ საქართველოში ვცხოვრობდით, მაშინაც „ვყეფდი" ყოველ დღე, რომ ეს იყო ქართველი ხალხის მოღალატე ხელისუფლების ომი; აფხაზეთში ქვეყანა იქცეოდა, რუსული ავიაცია ბომბავდა საქართველოს ქალაქებს და თბილისში სრულებით არ იგრძნობოდა, რომ საქართველო ომში იყო ჩაბმული. სინამდვილე საქართველომ მხოლოდ ჟურნალისტთა ნაწერიდან იცოდა, აბსოლუტურად იგნორირებული იყო მობილიზაცია, ომის გამოცხადება. ისე, როგორც ჩეჩნეთმა გამოაცხადა საყოველთაო ომი. ჩვენი სარდლობა არ ამბობდა, რომ ყველა ქართველის საქმე იყო აფხაზეთის დანარჩუნება და არ იყო იგი მხოლოდ განწირული ბიჭების საქმე. მიუხედავად ამისა, რომ შვილმკვდარი მამა ვარ, ჩემს თქვენთან საუბარში აბსოლუტურად არაფერ შუაშია აჩიკო მიშველაძე და მისი თავგანწირვა სამშობლოსათვის. მე ჩემს თავს უფრო მაღლა მდგომ კაცად ვთვლი, ვიდრე შეიძლება მგლოვიარე მამა იყოს. მე გულდაწყვეტილი ვარ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის გამო.



ვატყუებდით ქვეყანას, ჩვენ კი არ ვატყუებთ მწერლები და ჟურნალისტები, ვინც ატყუებდა, ყველამ კარგად უწყის. სახელმწიფო არის დაპყრობილი. 1993 წლის ოქტომბერში ფოთში შემოვიდა რუსეთის ცხრა კრეისერი ბალტინის ხელმძღვანელობით და საქართველო ანექსირებულ, ოკუპირებულ იქნა. ახლა საქართველო ღრმად ოკუპირებულია, არავითარი დამოუკიდებლობა ჩვენ არ გვაქვს. სასაცილოც კია დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი.

ერთი სიცვდილი გავათავე, როცა თქვენს გაზეთში წავიკითხე ერთი ქართველი პოლიტიკოსის „აღსარება" იმის შესახებ, თუ როგორ ჩასხდნენ რუსულ ტანკში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები და რა ზარ-ზეიმით წამოვიდნენ ზუგდიდზე, ხობზე თუ სენაკზე. როგორ წამოსცდა პატრიოტ კაცს ეს? თუ მართლა ჰქონდა ასეთ ფაქტს ადგილი, როგორ მოგითხროთ ამის შესახებ საგაზეთო პუბლიკაციაში და როგორ დააფიქსირა თავისი გვარი სისხლიანი რუსი გენერლების გვერდით?! რა პოლიტიკასაც ვადექით ჩვენ აფხაზეთის გაყიდული ომის დროს, იგივე პოლიტიკა გრძელდება დღეს. მე ახლახანს გამოვეცი ინტერვიუების წიგნი, რომელშიც შედის ყველა ინტერვიუ, რაც ამ ხუთი წლის მანძილზე მიმიცია. მე მათში ერთი სიტყვაც არ შემიცვლია. და რომ გადახედოთ ამ მასალებს, მიხვდებით, როგორ ვიყავი მე პირველი დღიდანვე წინააღმდეგი, როგორ ვუთხარი მე მწერალთა კავშირში სახელმწიფოს მეთაურს, თუ თქვენ 27 ივლისის ხელშეკრულებას ხელს მოაწერთ, ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილი გაქვთ აფხაზეთის მტრისთვის ჩაბარება. რადგან გამოვიყვანთ თუ არა ჩვენ არტილერიას და ტანკებს აფხაზეთიდან, მაშინვე ისარგებლებს ამით მტერი და აიღებს სოხუმს და ქართველ მოხალისე ბიჭებს ჩახოცავენ მეთქი. მაშინ მთელი პასუხისმგებლობით იყო საუბარი იმაზე, რომ ხელისუფლება თავის თავზე იღებდა სოხუმის დაცვის საქმეს, სოხუმში დღეიდან ტყვია აღარ გავარდება. საჭიროა დაბრუნდეს მოსახლეობა და იმის გარანტი, რომ სოხუმში ჩიტიც ვერ შეფრინდება, საქართველოს ხელისუფლებააო. როგორ ვერ შეფრინდა ჩიტი, ძალიან კარგად იცით და როგორ შეათრიეს ყელზე თოკშებმული დაპყრობილი საქართველო „ესენგეში", ესეც ძალიან კარგად მოგეხსენებათ. ახლა გავიდა საქართველოს ხელისუფლების გამოსაცდელი 4 წელი. ძლივს, ამ ოთხი წლის შემდეგ, წამოიკნავლა ჩვენმა ხელისუფლებამ, რომ თურმე ღრმად შევმცდარვართ, თურმე სამშვიდობო ჯარი ოკუპანტი რუსის ჯარია, რომელიც ზუგდიდზეც კი თავის გავლენას ადასტურებს იმით, რომ ქალაქთან შლაგბაუმია და რუსის ჯარისკაცები დგანან და საზღვარი ფსოუდან, საქართველოს მარიონეტული ხელისუფლების ხვეწნითა და მუდარით, ზუგდიდამდე მოვიტანეთ. და აი, ახლა, მე მიხარია, რომ წამოდგა ყვანია და თქვა, ბოლოსდაბოლოს ეს რუსის ჯარი არაფრის გამკეთებელი არ არის, მხოლოდ აფიქსირებს საქართველოს გენოციდს და საჭიროა გავიდეს საქართველოს ტერიტორიიდანო. მე აღფრთოვანებული ვიყავი, როცა შევარდნაძე გამოვიდა და თქვა: აქამდე რა ხელშეკრულებასაც ხელი მოვაწერე რუსეთთან, იძულებითი იყოო.

და როგორ არ ვიჭები მე ახლა საშინელ ხასიათზე, მთელი საქართველო გასუსული მიუჯდა ტელევიზორს, როცა გადმოსცეს პროექტი (კომისიის მიერ შემუშავებული). პროექტში ეწერა: „პარლამენტმა დაადგინა, გაყვანილ იქნას რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ჯარი აფხაზეთიდან". და მე ვიფიქრე, ძლივს პარლამენტი მთელს საქართველოსთან დადგა და ვაღიარეთ 30000 კაცის დახოცვის მერე, საქართველოს „ესენგეში" შეთრევის მერე, ოთხწლიანი აბსოლუტური უმოქმედობის მერე, ხალხის უნამუსოდ მოტყუების მერე, რომ საღ აზრზე ვდგევართ და რუსეთს ვეუბნებით, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანში არ არის არც ერთი რუსის ჯარისკაცი. ყარაბაღი რომ წაართვეს აზერბაიჯანს, ალიევს იმხელი ვაჟკაცობა ეყო, რომ მაშინვე დაადგინინა თავის პარლამენტს: „არც ერთი რუსის ჯარისკაცი არ იყოს აზერბაიჯანში". თვითონ ალიევი, მთელი კავკასია და შუა აზია, რომელთა პრეზიდენტები აქ რიგრიგობით ჩამოდიოდნენ, მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ეუბნებოდნენ საქართველოს ხელისუფლებას: „რა გაგიკეთა ამ რუსეთმა, რომ თეთრი ყვავივით მარტო შენ ხარ რუსეთთან შემკვრალიო". როდესაც გაიღვიძა მთელმა აზიამ, მთელმა კავკასიამ, მაშინ როდესაც არც ისე ძლიერი აღმოჩნდა რუსეთის მილიტარისტული მანქანა და ჩეჩნეთმა დაამარცხა ომში რუსეთი, დაიკავე ცოტა ვაჟკაცური პოზიცია. და როდესაც ამ ვაჟკაცური პოზიციის პარმაღს მივადექით, ისევ წყალი გადაასხეს საქართველოს, ისევ წყალი გადაასხეს ქართველი კაცის იმედს. თურმე საჭიროა „კონსტრუქციული" დიალოგის გაგრძელება, თურმე საჭიროა შეიქმნას ე.წ. კომისია – დელეგაცია, რომელიც დეკემბრამდე გამართავს მოლაპარაკებას, ვითომ რუსეთთან ჩვენ მოლაპარაკება გვაკლია, ვითომ რუსეთის ლოთი პრეზიდენტისთვის ჩვენ აქ დაბადების დღის გადახდა და საჩუქრების მირთმევა გვაკლია, ვითომ ჩვენ რუსეთის სისხლიანი თავდაცვის მინისტრის საქართველოში მონათვლა, მლიქვნელობა, ტაშისკვრა და პირზე კოცნები და გაცილებები გვაკლია და ეს ყველაფერი თურმე ახლა დგას დღის წესრიგში. რა მოლაპარაკებაზეა ლაპარაკი, ყველა მოლაპარაკება, ყველა ხელშეკრულება, რატიფიცირებულიც და არარატიფიცირებულიც, თავზე არ დაგვახია რუსეთმა?! თუნდაც ერთი პუნქტი შევარდნაძის და საქართველოს ხელისუფლების ხანგრძლივი დიალოგებისა შესრულდა? ახლა ჩვენ უნდა გვეთქვა უკვე კბილებმორყეული რუსეთისთვის: „წაიყვანე შენი ჯარი საქართველოდან". ახლა პირდაპირ უნდა გვეთქვა: „გამოვდივართ „ესენგედან". ამის ნაცვლად პარლამენტზე მივიღეთ რაღაც სუმბურული დადგენილება, საქართველოსათვის სრულიად არასაჭირო, კიდევ ერთი კაკანათი, კიდევ ერთი მოსატყუებელი რიდე, დროის გასაყვანი რიდე ლტოლვილებისთვის, რომელნიც ზუგდიდთან სხედან და ტირიან. კიდევ ერთხელ მსოფლიოს თვალში რუსეთის ერთგულ პუნქტად, ერთგულ მოკავშირედ გამოვჩნდით. რას ვგულისხმობ, იცით? ალიევი მიდის გაეროში, სადაც უნდა გამოვიდეს და თქვას: „დამიბრუნეთ მე წართმეული ყარაბაღი", ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელი კი არ მიდის, რომელიც იტყოდა: „დამიბრუნეთ აფხაზეთი". და გამოდის, რომ სწორია ვორონცოვი, რომელიც ამბობს: „ქართველებს არ უნდათ ამ აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება, ეს არის ურაპატრიოტი მწერლების და ჟურნალისტების მოგონილი ბუმი, თითქოს საქართველოს გული წყდებოდეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე". აბა, თუ ამბობს საქართველოს ხელისუფლება მისი პირველი პირის პირით: „დაუყოვნებლივ დაგვიბრუნეთ აფხაზეთი". აქ კი არა, საქართველოს რადიოში გამოსვლისას, აი იქ, მსოფლიოს დიდ პუნქტებში, პირდაპირ და გაბედულად არ ამბობს. ჩვენ ვიმეორებთ თუთიყუშივით, რომ აფხაზეთის დაბრუნების გასაღები რუსეთშია. ვინ არ იცის, რომ გასაღები რუსეთშია, მაგრამ რუსეთს რომ ულტიმატუმურად მოსთხოვო: „გეუბნები მე შენ, გაიყვანე შენი „სამშვიდობო" ჯარი, რომელიც საქართველოს ჩაგვრის მეტს არაფერს აკეთებს". ამას არ ვამბობთ. არც გვაქვს სურვილი იმის თქმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებას მართლა არ უნდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება, მაგრამ ეს უნებურად ოკუპანტების ხელის შეწყ-

გაგრძელება მე-8 გვ.

## ვლადისლავ არძინბას განცხადება

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ განაცხადა, რომ ამჟამად აფხაზეთში 390 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც აფხაზეთის ომამდელი მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენს. ამდენად, 23 ნოემბრისათვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნები აფხაზეთში კანონიერი იქნება. სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარმომადგენელმა არძინბას მიერ დასახელებულ ციფრს სრული სიყალბე უწოდა.

იბერია

## მოსკოვში აფხაზეთის ე.წ. წარმომადგენლობაში გაიხსნება საარჩევნო უბანი

23 ნოემბერს მოსკოვში აფხაზეთის ე.წ. წარმომადგენლობაში გაიხსნება საარჩევნო უბანი, რომელშიც „აფხაზეთის მოქალაქეებს" საშუალება მიეცემათ მიიღონ მონაწილეობა აფხაზეთის პარლამენტის არჩევნებში. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზ სეპარატისტთა ამგვარი ქმედება კატეგორიულად ეწინააღმდეგება რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ყველა ხელშეკრულებას, აგრეთვე დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებებს, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, აპირებს თუ არა რუსეთის ხელისუფლება აკრძალოს მოსკოვში ამგვარი არჩევნების ჩატარება.

იბერია

## გალის რაიონი სამ საარჩევნო უბნად არის დაყოფილი

სააგენტოს კორესპონდენტს ზუგდიდის რაიონის გამგეობიდან აცნობეს, რომ აფხაზ სეპარატისტთა ხელისუფლებამ გალის რაიონი დაჰყო სამ საარჩევნო უბნად. ერთ-ერთი უბანია გალის არხიდან მდინარე ენგურამდე, დანარჩენი ორი უბანი კი გალის არხის მეორე მხარეს მდებარეობს. გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის როდიონ ქიშმარის განცხადებით, გალის რაიონში უკვე შექმნილია საარჩევნო კომისია 5 კაცის შემადგენლობით. გალის რაიონიდან წამოყენებულია აფხაზეთის პარლამენტში არჩევნებში მისაღებად 16 კანდიდატი, რომელთაგან 14 ქართველია და ორი აფხაზი. საინტერესოა, რომ აფხაზი სეპარატისტები რფ-ის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელებს სთავაზობენ, მათაც წამოაყენონ კანდიდატურა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

იბერია

## ეპოქის სარკე

# ქართველი მწერლები და 1991 წლის 2 სექტემბრის აქცია

## ქვეყნდება პირველად

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №50,51,52,53**

სტენოგრაფიული ანგარიში
საქართველოს მწერალთა კავშირის
საერთო კრებისა
1991 წლის 12 სექტემბერი

თავმჯდომარეობს -
მუხრან მაჭავარიანი

ჯანსუღ ჩარკვიანი - ძვირფასო მეგობრებო! აქ გამოვიდა ბევრი კარგად მომზადებული, ბევრი სრულიად მოუმზადებელი. შეიძლება მომზადებული იყო, მაგრამ ცუდად ილაპარაკო და პირიქით. მადლობა ღმერთს, დადგა ის დრო, როცა ჩემი აზრი არ ემთხვევა შენსას, მაგრამ ჩვენ ერთმანეთის მოსმენის კულტურა არა გვაქვს.

აქ შესანიშნავად ილაპარაკა ჯ.ქარჩხაძემ. მე ვემხრობი ამ შესანიშნავი კაცისა და მწერლის პოზიციას - სანამ თავისუფლებას ვერ მოვიპოვებთ, მანამ ვერ მოვიპოვებთ სამშობლოს დამოუკიდებლობას იმიტომ, რომ მონა არ შეიძლება დამოუკიდებელი იყოს. ამიტომ ჯერ თავისუფლება, პიროვნების თავისუფლებაა საჭირო, რომ შემდეგ მოვიპოვოთ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა.

დღევანდელ დღეს სამარცხვინო ცხოვრებით ცხოვრობს ქართველი კაცი. ქართველი დედების რიგია ხელმოწერებზე კაცის დასაჭერად. ქართველი დედები ერთმანეთს ეკითხებიან, აბა სად მოაწერონ ხელი. 2500 დედა გამოდის საქვეყნოდ და ხელს აწერს სხვისი შვილის დახვრეტაზე და ამას კვერს უკრავს ჩვენი მთავრობა, - „გამოვყოთ კომისია“, „გამოვყოთ საპარლამენტო კომისია“. აი, ეს არის ჩვენი მთავრობა, რომელიც ამაზე აწერინებს ხელს.

აი ამას უნდა ვებრძოლოთ! ამაზე უნდა ავიმაღლოთ ხმა. ჩვენ პიროვნულად კი არ ვებრძვით ვინმეს. არა, ჩვენ არ მოგვწონს ის დიქტატი, რომელიც დღეს არსებობს.

აბა, თუ გინახავთ ტელევიზიაში ვინმეს საწინააღმდეგო აზრი. გამოვლენ და ისეთ სიბრიყვეს იტყვიან, რომელსაც ის ხალხი ვერა გრძნობს...

მივედით ორ სექტემბრამდე. ნეტა არ მივსულიყავით. რა მოხდა ორ სექტემბერს. ჩვენ გვინდა ასეთი რეზოლუცია - სამამულო ომი იყო, გაწყვიტეს ერთმანეთი, მაგრამ თუ არ ახსენით, რომ აქ ფაშიზმი, გიტლერიზმია. არა, აქ ძმები კი არ დაერიენ ერთმანეთს, აქ ბაზალეთის ტრაგედია გამეორდა, აქ ოფიციოზის მიერ გამოყვანილი ომონი დაერია მშვიდობიან მომიტინგეებს და იარაღით დახოცეს. და ეხლა გამოვყოთ კიდევ ახალი კომისია იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ რა მოხდა? როგორ გვკადრებათ!.. თუ ეს არ იცოდა პრეზიდენტმა, ცუდათ ყოფილა მისი საქმე, თუ იცოდა, მაშინაც ცუდათაა საქმე.

რაზეა ლაპარაკი?!.. ქვებს ესროდნენო. აბა რა იქნებოდა?!.. მიზეზს ეძებდნენო, კი იყვნენო ამის ღირსნიო...

ორში მოხდა საშინელება, საზიზღრობა, ორში გამოყვანილი იყო ომონი, რომელმაც ესროლა და თუ სინდისი აქვს, ისე როგორც კომუნისტებმა გააკეთეს, უნდა გადადგეს!.. თუ არა და, იყვნენ და შეგვირცხვენია.

ნუ იტყვით, რომ... კარიერისტია... კარიერისტი არ არის. ნუ ვიტყვით აკალაძე, რომ მსოფლიოში თქვენ პირველი იყავით, კომუნისტებზე რომ სთქვით. იქნება სხვაც იყო, ფროიდი და სხვებიც. ჩვენ, ქართველები, ხომ ყველა პირველები ვართ. მთავარი ის არის, რომ დღეს ხომ ქართველს ქართველი ჰყავს მტრად. დავარქვათ ყველაფერს თავის სახელი და ვთქვათ - **ორში ოფიციოზის მიერ გამოყოფილმა ომონმა დაარბია მშვიდობიანი მომიტინგეები.**

მთავარი აი ეს არის!..

**თავმჯდომარე** - სიტყვა ეძლევა მერაბ ელიოზიშვილს.

მ.ელიოზიშვილი - დაახლოებით ორი თვის წინ ტელევიზორის ძებნაში შემოვიარე ცხრა მთა, ცხრა ბარი და ერთმა კაცმა მითხრა, ვერ იშოვიო და ლაპარაკში დაუმატა - ორ სექტემბერს არ გადასცდება, ზვიად გამსახურდიას ყოფნა-არყოფნის ამბავი დადგებაო.

ეხლა მაინტერესებს - რა მოხდა. არის ერთი მხარე, რომელიც დაუპირისპირდა მთავრობას და საიდან იცოდა ვაჭარმა, რომ ორ სექტემბერს უნდა მომხდარიყო ეს ინციდენტი. ამან დამაბნია. ისე რომ, მე ვაპირებდი ლაპარაკს, მაგრამ ახლა დაბნეული ვარ და ხმა ჩამივარდა **(დარბაზში საერთო ხმაურია და ამ ხმაურში ის განაგრძობს მართლაც დაბნეულ ლაპარაკს - სტ.)**...

ჩვენ ისევ დაბლა ვართ დაცემულები... აქ ისეთმა ხალხმა ჩაატარეს დემარშები, რასაც არაფრის გულისთვის... **(იზა ორჯონიკიძე აწყვეტინებს სიტყვას და აბნევს)**... რა უნდა გითხრა. ეს მაგალითი შენა ხარ. საიდან მაქვს ამოკრეფილი... აი ასეთი არიან, რომლებიც ასე იყვნენ მორგებული ყველა დროს... ჭაბუას ნათქვამის მთელი სერიალი ჩემთვის მისაღებია...

მე იმას ვიტყოდი, რომ გასაგებია, ჯანსულმაც მითხრა და ეგ იყო სიტყვის თამაში და ამ სიტყვის თამაშით... **(დარბაზში საერთო ხმაურია, აწყვეტინებენ ლაპარაკს)**...

**მ.მაჭავარიანი - სიტყვას ვაძლევ დავით მჭედლურს...**

დავით მჭედლური - მე შევეცდები მოკლედ მოგახსენოთ. დღეს რუსთაველის პროსპექტი საშინელი სანახავია - იქ ბარიკადებია აღმართული, რომლის ორივე მხარეს ქართველები დგანან. ეს ბარიკადები არის არა ერთი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული, არამედ იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც დამყარდა საქართველოში. ეს არის ტოტალიტარიზმის რეჟიმი. ტოტალიტარიზმის მოსამზადებელი რეჟიმი:

პირველი ეს არის, ოპოზიციური პოლიტიკური ძალების აბსოლუტური იგნორირება. ეს ყველამ ვიცით რა მეთოდებით ხდება, რა მეთოდებით მიმდინარეობს; მასობრივი საშუალებების მონოპოლიზაცია - პრესა, ტელევიზია. იქ განსხვავებული აზრის გამოთქმა აკრძალულია. ისტორია გაყალბებულია, ისეა წარმოდგენილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1964-65 წწ. მე დავუახლოვდი საქართველოს ეროვნული პარტიის წევრებს. ბჭითანავა, ვალენტი, ზგოგია დააპატიმრეს, ხოლო ის მლიქვნელები ეროვნულ მოძრაობას სახავენ გაყალბებულად. სწორედ ასე. სწორედ ასეა გაყალბებული სტალინი (დარბაზში ხმაური)... ხალხის მანდატებით პროვოცირება, ამით მანიპულირება, მტრის სახის შექმნა. 4 მილიონი ქართველი სრულიად საკმარისია, რომ იქ იყოს სუკის აგენტი, კრემლის აგენტი და ა.შ. მაგრამ ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ გადარჩევა დაიწყოს...

...

დაბოლოს, ეს არის ინტელიგენციის დევნა. ეს ცნობილი მეთოდია. მე არ მინდა ვთქვა, რომ ისინი დიდი დემოკრატები იყვნენ, მაგრამ...

**(დარბაზში ხმაური. ჩაწერა შეუძლებელია - სტ.)**...

ლევან ხაინდრავა - მეგობრებო, ნება მიბოძეთ ვილაპარაკო რუსულად. ჩემთვის უფრო ადვილია.

უპირველეს ყოვლისა, ჩემი დამოკიდებულების შესახებ პრეზიდენტთან ორი სიტყვით. ამ დარბაზში ორი ადამიანი მაინც არის ისეთი, რომელმაც იცის ჩემი დამოკიდებულების შესახებ, როგორ პატივს ვცემ პრეზიდენტს და მას ათეული წლების განმავლობაში ვუჭერდი მხარს იმიტომ, რომ მე მას ბავშვობიდან ვიცნობდი, მაგრამ მოხდა ორი სექტემბრის ამბავი. ეს არის გარდატეხის ეტაპი.

ბატონებო, ჩვენზე საშინელი წარმოდგენა აქვთ საზღვარგარეთ. უკრაინაში ბუშის გამოსვლაში გამოჩნდა ეს. ჩვენ დაგვიპირისპირდა მთელი დასავლეთი სამყარო და დასავლეთის სამყაროს გარეშე თავისუფლებას ჩვენ ვერ მივაღწევთ. ჩვენ დავუპირისპირეთ ელცინიც. გუშინ გამოდიოდა ჩეხოევი, რომელმაც განაცხადა რუსეთის სესიაზე, რომ დადგა დრო გავაერთიანოთ ოსეთი. და მას მისცეს სიტყვა. ის გამოდის რადიო „თავისუფლებაში“. სიგუამ სწორად სთქვა - როგორ შეიძლებოდა ყირგიზეთთან ხელშეკრულება დადო და ელცინს დაუპირისპირდე?

ჩვენი მთავრობა შეცდომას შეცდომაზე უშვებს. პიროვნების კულტია შექმნილი, პირადულიდან გამოდის.

უკაცრავად ბატონო ნოდარ, (მიმართავს ნ. წულეისკირს) თქვენი წერილი, რას გავს ეს?!

ორი სექტემბერი. ამბობენ პროვოკაციული იყო ეს მიტინგი, არ იყო დროული, მაგრამ ინფორმაციის არარსებობის გამო ჩვენ არ ვიცით სიმართლე. ჩვენ მხოლოდ საზღვარგარეთიდან ვისმენთ. 450 თუ 350 კაცია, იქ ნაციონალ-დემოკრატიული პარტია ატარებს მიტინგს. გეთანხმებით, რომ ეს მიტინგი არ იყო დროული, შეიძლება არ ყოფილიყო ორში, არამედ ყოფილიყო ცხრაში, ამას რა მნიშვნელობა აქვს და თუ ისინი სულელები არიან, ჩვენი მთავრობა ხომ არ შეიძლება წავიდეს ამაზე. ამ დროს პრეზიდენტთან ისხდნენ კონგრესმენები. პრეზიდენტი რომ დიპლომატი ყოფილიყო, მას კონგრესმენებისათვის უნდა ეპასუხნა - ახლა მიდის მიტინგები, სადაც მე მლანძღავენ და არაფერი მათ წინააღმდეგ არ არის გამოყენებული. ამის ნაცვლად კი იქ გადასროლილია ომონი. ასე მსჯელობა „აბა რა უნდა გვექნა“ არ არის სწორი მსჯელობა. როგორ შეიძლება დააბრალო ბუშს და დააპირისპირო ბუში...

**(აკალაძე - შევარდნაძის დახმარებითო)**...

არ არის კაცი, რომელიც უფრო უარესად იყოს განწყობილი შევარდნაძისადმი, ვიდრე მე, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ვისარგებლოთ მისი ბუშთან ურთიერთობით და ჩვენი საქმისათვის გამოვიყენოთ, გაუთავებელ შეურაცხყოფას ვაყენებთ. დაბოლოს, ასევე გაუთავებელია შეურაცხყოფა ოპოზიციის.

5 სექტემბერს გავუგზავნე მე პრეზიდენტს წერილი ასეთი შინაარსის (კითხულობს რუსულად)...

ვიდრე თქვენ არ დაანებებთ თავს ოპოზიციის შეურაცხყოფას, ვერ მიიღებთ დასავლეთის მხარდაჭერას. აი აქ არის ამის შესახებ (კითხულობს რუსულად)...

9 აპრილს თუ ვინმემ თავი გამოიჩინა, გამოიჩინა თავი გზაინდრავამ **(ხმა დარბაზიდან - არა მარტო 9 აპრილს)**... და როგორ შეიძლებოდა იმისათვის ხალხის მტრის წოდება ამ შემთხვევისათვის მახსენდება რუსული ანდაზა: „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინა ხარ შენ“ - მე კი ვიტყოდი: „მითხარი ვინ არის შენი მტერი და გეტყვი ვინა ხარ შენ“. ახლა დაემატა ჩემი გვარიც **(ხმა დარბაზიდან - უპასუხეთ)** დაგიბეჭდავენ თუ? ძაობით წერილი მაქვს სახლში, მთელი კანცელარიაა. ვინ გიბეჭდავს. ეხლა მე უკვე ვაგზავნი საზღვარგარეთ.

თქვენთვის ალბათ არ არის ცნობილი ის, რომ რსფსრ უმაღლეს საბჭოში არის შექმნილი კომისიები, რომლებიც სვამენ საკითხს საგანგებო მდგომარეობის შემოღებისა საქართველოში, ხოლო ჩეხოევი ლაპარაკობს გაერთიანებული ოსეთის შექმნაზე. მე ჩამოვედი გაგრიდან და ვნახე იქ რას აკეთებენ ქართველები. სამარცხვინოა. მრგვალი მაგიდის მონაცემები (მარკოზია მინდოდა მენახა და არ იყო), ის შევბულებაშია რატომ უნდა ყოფილიყო 28% აფხაზები და 26% ქართველები. ვის კითხეს, ჩვენ თანახმა ვართ?

ყველას ერთხმად ირჩევენ, როგორც ბოლშევიკების დროს.

და ბოლოს. ჩემს სადარბაზოში ცხოვრობს ქალი, რომელიც სიმფონიურ ორკესტრში უკრავს. ხვალ უნდა გაფრენილიყვნენ ლონდონში და დღეს მიიღეს დეპეშა - უარი.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ჩვენზე შეექმნათ უარყოფითი იმიჯი.

ეს იმიჯი რომ შეიცვალოს, მე ვურჩევ მთავრობას პოლიტპატიმრები გაანთავისუფლოს, რეკომენდაცია მივეცი, რომ გაანთავისუფლოს ჯაბა იოსელიანი. ეს საჭოჭმანო საკითხიო. 30 წელია ის სწორ გზაზე დგას. ამ [illegible]სათვის მან თავის დროზე მოიხადა სასჯელი, მაგრამ გუშინწინ თქვენ რომ გაგზავნეთ ომონი, როგორ ართმევდნენ მოსახლეობას ისინი, ქალებს კაბების ქვეშ უძვრებოდნენ. ეს გაზეთშია დაწერილი.

მე ვთვლი, რომ დღეს ჩვენ უნდა მივიღოთ მოკლე რეზოლუცია:

1. დაუყოვნებლივი დიალოგი მთავრობასა და ოპოზიციას შორის, საქართველოს პატრიარქის ილია მეორის თავმჯდომარეობით. დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას მთავრობა, მოხდეს ახალი ხელისუფლების ფორმირება, პრეზიდენტის უფლებები უნდა იყოს შეზღუდული...

ეხლა კი პრეზიდენტს განუსაზღვრელი უფლებები აქვს განუსაზღვრელი ვადით, რომელიც შეიძლება შემდეგ ადვილად მემკვიდრეობითობაში გადავიდეს... რა, ჩვენ კორეა ვართ?!...ჩვენთან განუსაზღვრელად რატომ უნდა იყოს არჩეული...

**(აკალაძე** - ათი წელი...)

მე არაერთხელ შევხვედრივარ პრეზიდენტს, არა ერთხელ და ყოველთვის ვეხმარებოდი - ეს იყო წერილების დაწერა თუ სხვა, მაგრამ ის თავისთავს გამოყოფს საქართველოდან, საქართველოზე აყენებს თავის თავს და თუ ვიღაც მისი წინააღმდეგია, ის უკვე ხალხის, ქართველი ერის მტერია.

პრეზიდენტის უფლებები უნდა იყოს შეზღუდული. ჩვენ არ გვყავს ვიცეპრეზიდენტი და უნდა გვყავდეს. არჩევნები უნდა იყოს ისეთი, რომ მას ეკითხებოდნენ პირადი ცხოვრებიდანაც.

ჩვენ უნდა გვქონდეს არა პრეზიდენტის რესპუბლიკა, არამედ პარლამენტური რესპუბლიკა.

ე.ი. მე მოვითხოვ - დაუყოვნებლივ დიალოგს ოპოზიციასთან, დიალოგს მთავრობასა და ოპოზიციას შორის. პრეზიდენტი არის გამარჯვებული და მან პირველმა უნდა გაუწოდოს ხელი.

მეორე საკითხი, ეს არის კადრები. ეს ხომ საშინელებაა - არაკომპეტენტური კადრები სხედან თანამდებობებზე. აიღეთ საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ომანიძე. შეიძლება ნიჭიერია, მაგრამ განა ის შეიძლება იყოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ის შეიძლება იყოს ვაჭრობის მინისტრი, მაგრამ არა საგარეო საქმეთა მინისტრი. მას საქმე უნდა ჰქონდეს მეიჯერთან, ბეიკერთან და ა.შ. ეს არ არის საგარეო საქმეთა მინისტრი.

1. დაუყოვნებლივი დიალოგი ოპოზიციასთან;
2. შეზღუდვა პრეზიდენტის უფლებების;
3. საქართველოს პარლამენტარული რესპუბლიკა;
4. ახალი არჩევნები

და კადრების საკითხი არის ძალიან მნიშვნელოვანი.

ამით ვამთავრებ ჩემს გამოსვლას.

გ.ალხაზიშვილი - მე ძალიან მოკლედ მინდა მოგახსენოთ. მეგობრებო, მე მგონი არ შევცდები, თუ ვიტყვი - ყველანი, დიდი უმრავლესობა ერთსულოვანი ვართ იმაში, რომ ის, რაც მოხდა 2 სექტემბერს, უნდა დაიგმოს. ვინც ამას არ დაგმობს, ის მხარს უჭერს საშინელებას და ღმერთმა იმ გზაზე ატაროს. ის, რაც 2 სექტემბერს მოხდა, საშინელებაა. შეიძლება უსანქციო მიტინგი იყო, 300-400 კაცი იყო, მაგრამ უფრო დიდი საშინელება იყო ასეთი შეიარაღებული თავდასხმა. ეს არის ჩემი აზრი და მე ამას არ ვმალავ. ეს არის საშინელი, ასეთი უარყოფითი მოვლენა. მე ახლა იმ დარბაზის წინაშე გამოვდივარ, რომელმაც იცის ვინ იყო ნ.ბერდიაევი, რომელმაც დაიწყო სოციალიზმის ნგრევა ჩვენზე უფრო ადრე. მას უწერია - როცა საბჭოთა კავშირის ტოტალიტარიზმი დაიწყებს ნგრევას და მის ნაშთზე აღმოცენდება ნაციონალური ტოტალიტარიზმი, ეს არის კანონზომიერი მოვლენა. რაღაც პროცესი უნდა გაიაროს ერმა ტოტალიტარიზმისა. ჩვენ გვეძლევა შანსი დღეს ამ ტოტალიტარული პერიოდიდან გარკვეული გზის გავლისა. როდესაც დღეს ვლაპარაკობთ დემოკრატიაზე, თავისუფლებაზე, ჩვენ ეს გვესმის, მაგრამ ზოგი ამბობს და ზოგი - არა.

ეხლა, რადგან ასეთი რთული ვითარებაა და ჩვენ ვდგევართ ასეთი საშიშროების წინაშე, ისინი, ვინც ოპერის თეატრის წინ, უნივერსიტეტის წინ დგანან, ერთი საერთო საშიშროების წინაშე არიან. დასავლეთის ხმები ძალიან მშვიდი ტონით გვამცნობს, რომ რუსეთის პარლამენტმა მოითხოვა - არიქა, გადავარჩინოთ. ე.ი. საქმე მიდის შემდეგი მიმართულებით, რომ რუსეთის დეპუტატების ნაწილი - ეს იქნება სუკი, ჩეკა თუ სხვა, უნდა მოგვეშველონ და ეს რომ არ დავუშვათ, ჩვენ, ჩვენმა ძმებმა, უნდა ვიხელმძღვანელოთ მარადიული პრობლემებით და არა კონიუნქტურით. ამისათვის საჭიროა რაღაც კონსტრუქციული, რომ ამას ის არ მოჰყვეს, რაც შეიძლება გველოდეს.

ამიტომ ბატონმა ლევანმა რაც გვითხრა, იგივე მინდა გავიმეორო - აუცილებელი არის მოლაპარაკება. ის, ვინც დათმობაზე არ წავა და გარკვეული კონსოლიდაცია არ მოხდება, მაშინ წინააღმდეგ შემთხვევაში მოვა ან უნდილაძე, ან უნდილაძის ძმა და დაგვამშვიდებს. ჩვენ თვითონ, ქართველებს, შეგვიძლია მოლაპარაკება. ეს უნდა დავუმტკიცოთ.

**მ.მაჭავარიანი** - ჩვენთან მოვიდნენ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები: ბატონი თემურ ქორიძე და მოლოდინაშვილი. თუ თქვენი მხრიდან არის რაიმე ინფორმაცია, მობრძანდით!

**გაგრძელება იქნება**

# საქართველოსთვის სამტროდ გამოწვდილი ხელი

საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში სეპარატისტ აფსუებს, არძინბას და მის ხროვას მრავალი მოკავშირე ჰყავთ. სამწუხაროდ, მათ რიცხვში სომეხთა გარკვეული წრეებიც არიან. ასეთია, კერძოდ, აფხაზეთში არსებული სომხური საზოგადოება „კრუნკი", მარშალ ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი და, ალბათ, სხვაც. ამ ბოლო ხანს გამოცემულ თავის წიგნში - „აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე" - ბატონი თეიმურაზ მიბჩუანი წერს: „ურჩ" სომხებს ხვრეტდნენ და ანადგურებდნენ, რომლის შემდეგაც იძულებულნი გახდნენ სეპარატისტთა სამსახურში ჩამდგარიყვნენ. ამ სომხებმა საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით შექმნეს მარშალ ბაგრამიანის (ქართულად უნდა ითქვას ბაღრამიანი, ასე გამოითქმის და იწერება ეს გვარი სომხურად - ა.ა.) სახელობის ბატალიონი, რომელსაც ყველაზე რთული ოპერაციების განხორციელება ევალება. თბილისში გაზრდილმა ბაგრამიანმა ეს რომ გაიგოს, ალბათ, საფლავში გადაბრუნდება" (გვ. 49-50).

არა მგონია, საქმე მართლა ასე იყოს. სამწუხაროდ, ჩემთვის სათანადო მასალები მთელი სისრულით ხელმისაწვდომი არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება ამ საკითხთან დაკავშირებით გავეცნოთ ამონაწერებს 1974 წელს ერევანში გამოცემული „სომხური საბჭოთა ენციკლოპედიის" პირველ ტომში მოთავსებული სტატიებიდან - „აფხაზთა სამეფო" და „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა". აფხაზთა სამეფო იყო „ადრე ფეოდალური სახელმწიფო ამიერკავკასიაში, ცენტრით ქუთაისში... აფხაზთა სამეფო ძლიერ, ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენდა და მოიცავდა საკუთრივ აფხაზეთს, დასავლეთ და ნაწილობრივ აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს. მოსახლეობას ძირითადად შეადგენდნენ აფხაზები, მეგრელები და სვანები".

საუბარია რა აფხაზეთის შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებაზე აქ გვხვდება ასეთი გამოთქმა: „აფხაზური და ქართული სამეფოების ეპოქაში". „აფხაზეთის ასსრ"-ს შესახებ სტატიაში შეტანილია ვრცელი პარაგრაფი: „სომხები აფხაზეთში". მასში ნათქვამია: „შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე, კერძოდ, აფხაზეთში სომხები მკვიდრობდნენ ადრეული შუა საუკუნეებიდან. მომდევნო საუკუნეებშიც, შექმნილი ისტორიული ვითარების გამო, სომეხთა დინება აფხაზეთისაკენ გრძელდებოდა".

მოტანილი ამონაწერების განხილვა დავიწყოთ იმით, რომ ობიექტურ, მიუკერძოებელ ავტორებს თუ ენციკლოპედიის მესვეურებს „აფხაზთა სამეფო" უნდა მოეთავსებინათ არა ზოგადად ამიერკავკასიაში, არამედ საქართველოში. ანდა როგორ უნდა გავიგოთ გამოთქმა: „აფხაზური და ქართული სამეფოების ეპოქა". განა „აფხაზთა სამეფო" ქართულ სახელმწიფოს არ წარმოადგენდა? „აფხაზთა სამეფოში" ხომ სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი ყველა ნიშანი ქართული იყო. განა „აფხაზთა მეფე" არ თხოვდა გრიგოლ ხანძთელს და მის მოწაფეებს, ელვაწათ ქართული კულტურის აყვავებისათვის „აფხაზთა სამეფოში"? რახან „აფხაზთა სამეფო" დასავლეთ საქართველოსთან ერთად ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოსაც მოიცავდა და მის დედაქალაქს ქუთაისი წარმოადგენდა, ამ სამეფოს მოსახლეობის შესახებ საუბრისას სიტყვა ქართველი არ უნდა ეხსენებინათ? (თუ ფიქრობენ, რომ IX-X სს-ში ქართული ენა ჯერ კიდევ არ არსებობდა) „აფხაზთა სამეფოში" ქართული სახელმწიფო ენად როგორ იქცა? იმ ეპოქის საკუთრივ აფხაზეთის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე ქართული წარწერები როგორ გაჩნდა?

რაც შეეხება სომხურ მოსახლეობას აფხაზეთში, არავითარი საბუთი არ არსებობს იმისა, თითქოს, სომხები ამ მხარეში V საუკუნიდან დასახლდნენ. ადრე შუა საუკუნეებში თუ მომდევნო ხანებში აფხაზეთში სომხური მოსახლეობის ნაკადთა დინებაზე ლაპარაკიც სრულიად უსაფუძვლოა. მას შემდეგ, რაც XII ს-სა და XIII ს-ის დასაწყისში საქართველოს ჯარმა, სომხური მოსახლეობის მხარდაჭერით, განდევნა დამპყრობელი თურქ-სელჩუკები სომხეთიდან და სომხეთის დიდი ნაწილი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა, ამასთანავე, ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მომრავლდა სომხური მოსახლეობაც (რომლებიც, ძირითადად, ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდნენ), შესაძლოა, თითო-ოროლა სომეხი აფხაზეთშიც დამკვიდრდა. XIX ს-ის დასაწყისში მთელს დასავლეთ საქართველოში სულ ცხოვრობდა დაახლოებით 1500 სული სომეხი, ისიც უმთავრესად იმერეთში (იხ. კ.ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბ., 1973, გვ. 109). ამდენად, აფხაზეთში იმ დროსაც სომეხთა რაოდენობა მხოლოდ ძალზე მცირერიცხოვანი შეიძლებოდა ყოფილიყო. მხოლოდ მუჰაჯირობის შემდეგ „იმ მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ემიგრაციაში წასვლამდე აფხაზებს ეკავათ, 80 და 90-იან წლებში დაიკავეს თურქეთიდან მოსულმა სომხებმა" (ვ.ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984, გვ. 228). ეს მოხდა რუსეთის იმპერიის ხელისუფალთა ნებით. მათ ეწადათ ხელოვნურად აეჭრელებინათ საქართველოს მოსახლეობა, რათა ამით სასიკვდილო ლახვარი ჩაეცათ ჩვენი ქვეყნისათვის.

რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ „აფხაზთა სამეფოს" ძირითადი მოსახლეობის ჩამოთვლისას დასახელებულია მეგრელები და სვანები და არაფერს ეუბნებიან საქმეში ჩაუხედავ სომეხ მკითხველს მათი ქართველობის შესახებ? როგორც ჩანს, ეს არ არის შემთხვევითი, განზრახ გამიზნული ნაბიჯია. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ მიმდინარე წლის თებერვალში ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულარულ სომხურ გაზეთ „ლრაგირში" გამოქვეყნებულ წერილებში ნათქვამია: „ჩვენ უნდა მოვთხოვოთ საქართველოს, არა მარტო, შეწყვიტოს ჩვენი თანამემამულეების დევნა-შევიწროება, არამედ მოვთხოვოთ ტერიტორიული დამოუკიდებლობაც ჯავახეთელებისათვის. თუ საქართველო ამაზე არ დაგვთანხმდება, მაშინ ჩვენ უნდა გავანთავისუფლოთ ჩვენი მიწა-წყალი იარაღით ხელში, მით უმეტეს, რომ გვაქვს ამის შესაძლებლობა". „განთავისუფლებას" უპირებენ არა მარტო ახალქალაქის და ნინოწმინდის, არამედ ახალციხის რაიონსაც. საქართველო სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევსო, რადგან „ქართველი ერი, როგორც ერთიანი ორგანიზმი, არ არსებობს. ამ სახელწოდებით იგულისხმებიან მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან". აშკარაა იდეური ნათესაობა ქართველი ერის მიმართ ამ მტრულ გამოხდომასა და იმ ფაქტს შორის, რომ „სომხურ საბჭოთა ენციკლოპედიაში" „აფხაზთა სამეფოს" ძირითად მოსახლეობად დასახელებული მეგრელების და სვანების ქართველობის შესახებ მინიშნებაც კი არ მოიპოვება. ქართველი ერის მიმართ ამგვარი პოზიცია სეპარატისტ აფსუებს უჭირავთ. ისინი ყოველი ღონით ცდილობენ ქართველი ხალხის დანაწევრებას, ცალკეული ნაწილების მის გათიშვას. როგორც ჩანს, სომეხთა გარკვეული წრეებიც ასეთსავე მიზნებს ისახავენ. ამდენად, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ მათ ალიანსზეც შეიძლება ვილაპარაკოთ. მინდა მჯეროდეს, რომ საქმე ეხება სწორედ სომეხთა ზოგიერთ და არა ფართო წრეებს.

არსებული ვითარება, პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაცემები ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ სომეხთა გარკვეულ წრეებს ხელს აძლევთ სეპარატისტი აფსუებისა და მათი მფარველ-მოკავშირეების ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ. ისინი, ალბათ, ფიქრობენ, რომ ამ ბრძოლის შედეგად სომხური მოსახლეობა კიდევ უფრო მტკიცედ მოიკიდებს ფეხს აფხაზეთში და ომებისაგან დასუსტებულ საქართველოს ბოლოს და ბოლოს ჩამოაგლეჯენ ძირძველ ქართულ მიწა-წყალს, ქართული კულტურის უძველეს, უმძლავრეს კერას, შოთა რუსთაველის მშობლიურ კუთხეს, სამცხე-ჯავახეთს. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: საქართველოში ცხოვრობს 400.000-ზე მეტი სომეხი. საქართველოს ხელისუფლება სულ იმის ცდაშია, რომ როგორმე მოიგოს ამ სომხური მოსახლეობის გული, როგორც ამას ადრე აფსუების, ოსების და სხვათა მიმართ აკეთებდნენ და ხშირად გაუმართლებელ, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგო დათმობებზე მიდიოდნენ. სომხეთის პოლიტიკური ვითარება ამჟამად იმგვარია, რომ მას უძნელდება გარესამყაროსთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის დამყარება საქართველოს გვერდის ავლით. ამიტომ სომეხთა გარკვეული წრეები ცდილობენ გამოიყენონ საქართველოს სომხური მოსახლეობის მრავალრიცხოვნობის ფაქტორი და ამით ზეგავლენა მოახდინონ საქართველოს ხელისუფლებაზე, ჩვენი ქვეყნის ბედის ჩარხის ტრიალზე. ბოლო წლებში სპეციალისტებს ხელი აღარ მიგვიწვდება სომხურ პრესაზე, წიგნებზე. ესეც შეგნებულად კეთდება, რათა ქართველ ხალხს სიმართლე დაუმალონ.

**ალექსანდრე აბდალაძე**

# სევასტოპოლი - რუსეთის ფლოტის სახელოვანი წარსულისა და პოლიტიკური პროვოკაციების არენა

### ასეთი თავხედობა, ცოტა არ იყოს, რუსეთისგანაც კი გასაკვირია

ყველაფერი იკადრეს ამ ქვეყნის ხელმძღვანელებმა უკანასკნელ ხანებში ყოფილ მოძმე რესპუბლიკებთან ურთიერთობაში - თავის მოქმედებათან ერთად სახელმწიფო გადატრიალებებსაც უწყობდნენ და ახალი იმპერიისკენაც ექაჩებოდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი ასე თუ ისე „ცივილიზებულად" კეთდებოდა.

ათი დღის წინ კი ერთბაშად ორმა ძალიან გავლენიანმა პოლიტიკოსმა - მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა და მაშინ ჯერ კიდევ უშიშროების საბჭოს მდივანმა და პრეზიდენტის თანაშემწემ ალექსანდრე ლებედმა განაცხადეს - სევასტოპოლი რუსეთის ქალაქია და არც მას და არც შავი ზღვის ფლოტს არავის დავუთმობთო.

მათი არგუმენტები ასე ჟღერს: 1783 წელს, როდესაც რუსეთმა ყირიმის სახანო დაიპყრო, საფუძველი ჩაეყარა შავ ზღვაზე მისი ფლოტის მთავარ ნავსადგურს - სევასტოპოლს. მას შემდეგ ქალაქიცა და ნახევარკუნძულიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ. 1948 წელს რსფსრ-ს უმაღლესმა საბჭომ ქალაქს რესპუბლიკური დაქვემდებარების კატეგორია მიანიჭა. იმ დღიდან სევასტოპოლის სტატუსი არავის გაუსწორებია, ამიტომ იგი დღესაც რუსეთის ფედერაციის დაქვემდებარებული ქალაქი და მისი ერთ-ერთი მსხვილი ფლოტის მთავარი ბაზაა.



ჩვენი დიდი მეზობელი, მოგეხსენებათ, საკმაოდ ჭრელი ქვეყანაა და მაშინ თუნდაც ასეთი აზრის გაჩენა არავის უნდა გაუკვირდეს, ერთი გარემოება რომ არა. ლებედიცა და ლუჟკოვიც უკვე დღეს განიხილებიან, როგორც მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების №1 და №2 ფავორიტი. პირველი მათგანი რუსეთში კორუფციასთან ბრძოლისა და წესრიგის დამყარების რაინდად აღიქმება. მეორე კი - ძლიერ წარმატებულ მეურნედ და ეკონომიკური აყვავების მედროშედ. ხშირად მსჯელობენ აგრეთვე მათი ტანდემის შესაძლებლობაზე - ლებედი - პრეზიდენტი და ლუჟკოვი - პრემიერი, გოროზი ეროვნული იდეისა და სტაბილური განვითარების ერთდროული გარანტია.

აი, ასეთი ამბიციებისა და პოპულარობის პოლიტიკოსები აძლევენ თავს უფლებას, ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენონ მეზობლებს. არადა, თუკი ვინმესთან უნდა ჰქონდეთ რაიმე პრეტენზია, უპირველესად ყოფილი საერთო ქვეყნის ხელმძღვანელის ხრუშჩოვისადმი, რომელმაც ერთ დღეს დახედა პოლიტიკურ რუკას და აღმოაჩინა, რომ ყირიმის ოლქს, რომელიც რსფსრ-ს ეკუთვნოდა, მასთან სახღვარი საერთოდ არ ჰქონდა. ადგა და საქმის გასამარტივებლად იგი უკრაინას გადაულოცა. თუმცა საყვედურთან ერთად იქვე მადლობის თქმაც არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ამხანაგმა ნიკიტამ მზერა ცოტა ჩრდილოეთითაც არ გადაიტანა, თორემ დღეს კალინინგრადის ოლქს ლიტვასთან ან პოლონეთთან სახვეწარს გაუხდიდა.

მეზობელი ქვეყნის უშიშროების საბჭოს მდივნისა და დედაქალაქის თავის გამონათქვამები უკრაინაში ერთი კი შეიცხადეს, მაგრამ განსაკუთრებით დიდი აჟიოტაჟი არ აუტეხავთ. ორ სლავურ სახელმწიფოს საცინკლაო ისედაც საჭიროზე მეტი აქვს. მაგრამ თუკი ლებედის მოხსნით სევასტოპოლის თემით მისი დაინტერესება დროებით მაინც შენელდა, ლუჟკოვმა მთელი კამპანია გააჩაღა. შემოიკრიბა სხვადასხვა წარმომავლობის პოლიტიკოსები და პოლიტიკანები, დააარსა საქველმოქმედო ფონდი „მოსკოვი - სევასტოპოლი" და ელცინს საგანგებო აზრითაც კი მიმართა „რუსეთის ფლოტის დიდების ქალაქის დაცვის" მოთხოვნით. ხელმომწერთა შორის ერთი შეხედვით ისეთი განსხვავებული ხალხია, როგორებიც არიან რუსეთის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, არმიის გენერალი გოვოროვი, ფლოტის ოფიცერთა ასოციაციის თავმჯდომარე მირონოვი (რომელიც 1993 წელს აჯანყებულ რუცკოისთან და ხასბულატოვთან ერთად მოსკოვის სამხედრო გარნიზონთან შებმას აპირებდა) და ჩვენთვის კარგად ცნობილი ყოფილი დეპუტატი ზატულინი.

კიევმა ჯერ ოფიციალურად განაცხადა, სევასტოპოლი ყირიმის გადმოცემის შემდეგ უკრაინის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა და მასზე პრეტენზიები, ცოტა არ იყოს, უსაფუძვლოა. მაგრამ მოსკოვის მერმა მორიგ სატელევიზიო გამოსვლაში მოძმე სლავებს ახალი რისხვა დაატეხა - რეებს მიედ-მოედებით, სევასტოპოლი ყოველთვის რუსეთის ბიუჯეტში იჯდაო.

ლუჟკოვმა იმდენი ქნა, რომ უკრაინის მხარე უკვე სერიოზულად განიხილავს უამრავი პოლიტიკური პარტიის მოთხოვნას მისთვის „არასასურველი პირის" (პერსონა ნონ-გრატა) სტატუსის მინიჭების შესახებ. ასეთ გართულებამდე საქმე ჯერ კიდევ არ მიდის, მაგრამ საკითხის დაყენებაც კი საგანგაშო ფაქტია.

მაინც, რა ამოძრავებთ რუს პოლიტიკოსებს, სევასტოპოლის დაუფლება რომ განუზრახავთ? დღეს, ალბათ, ბავშვმაც კი იცის, რამდენი წინააღმდეგობა აქვთ რუსეთსა და უკრაინას შავი ზღვის ფლოტის გაყოფის საკითხში. ერთ დროს მიღწეული შეთანხმება, რომლითაც უკრაინა 54 ხომალდსა და სევასტოპოლის მთელი სანაპირო ინფრასტრუქტურით თანაბარი სარგებლობის უფლებას იღებდა და რომლის შესრულებაც თითქოს დაიწყო, მალევე შეჩერდა, რადგან კიევში აღმოაჩინეს, რომ რუსებმა, უბრალოდ, „გააცურეს" - მიასაღეს ჯართად ქცეული გემები და ფლოტად კი გააფორმებინეს. უკრაინამ დასვა შეთანხმებათა გადახედვისა და მათი ყოვლისმომცველი სამხედრო ხელშეკრულების ჩარჩოებში მოქცევის საკითხი, რომელიც ორ ქვეყანას შორის უკვე რამდენი წელია მზადდება და რომლის ხელმოწერასაც არა და არ დაადგა საშველი.

მთავარი პრობლემა, ვფიქრობთ, თავად უკრაინელთა გაურკვევლობაშია. იქაურ კანონმდებლობაში დაახლოებით ისეთივე ვითარება წარმოიქმნა, როგორიც დღეს ჩვენში „სახელმწიფო საზღვრის შესახებ" კანონის განხილვისას - ვერ გადაგვიწყვეტია, როგორ ჩავწეროთ მასში ისეთი პუნქტი, რომ დროებით საქართველოში ყოფნის უფლება მივცეთ რუს მესაზღვრეებს და თანაც პირველი მოთხოვნისთანავე უზრუნველვყოთ მათი აქედან გასვლა. ასევე უკრაინის კონსტიტუციის მე-16 მუხლი კრძალავს „ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზების არსებობას". სანამ უკრაინელი პოლიტიკოსები მსჯელობენ, როგორ გადაარჩინონ ცხვრები და იმავდროულად მგლებიც დაძღონ, რუსები დროს არ კარგავენ და ელემენტარული პრინციპით ხელმძღვანელობენ - რაც მეტს მოითხოვ, მეტს მიიღებ. თუკი დღეს ისინი ინიციატივის ხელში ჩაგდებას შეძლებენ და სევასტოპოლის დაბრუნების მოთხოვნას მოლაპარაკებებზე დასვამენ, იმას მაინც მიაღწევენ, რომ მისი მოხსნის სამაგიეროდ უკრაინელებს ადრე მიღწეულ შეთანხმებათა გადასინჯვის მოთხოვნასაც მოახსნევინებენ. ანუ, „მდაბიურის ენით რომ ვთქვათ", უკრაინას მისცემენ იმ გემებს, რომლებიც უკვე გამოუსადეგარია ან უახლოეს წლებში იქცევა ასეთად, ამით მათი ძვირადღირებული უტილიზაციის პრობლემასაც მოიხსნიან და კიევს მადლობასაც ათქმევინებენ.

სხვაგვარად ძნელიც კია იმაზე ფიქრი, რომ სევასტოპოლის სტატუსის საკითხის დაყენებისას რუსი პოლიტიკოსები უკან დასახევ გზებს არ იტოვებენ.

მაგრამ თუ ლუჟკოვი დიდ პოლიტიკაში დილეტანტად და მხოლოდ და მხოლოდ რჩევის მიმცემად შეგვიძლია ჩავთვალოთ, ამას ვერ ვიტყვით რუსეთის დუმაზე, რომელმაც რამოდენიმე დღის წინ მეორე მოსმენით მიიღო კანონი შავი ზღვის ფლოტის გაყოფის შეჩერების შესახებ. ეს უკვე დემარშია, რადგან კანონმდებელთა გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება ყველა რუსული უწყებისათვის. ბუნებრივია, რომ ეს ნაბიჯი უკრაინამ უფრო მტკივნეულად აღიქვა. აშშ-ს წარმომადგენელთა პალატამ მაშინვე მიიღო უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია, რაც რუსეთმა შეაფასა, როგორც „მიკერძოებული და არამეგობრული

გაგრძელება მე-8 გვ.

# თურქეთი ნატოსა და ყურანს შორის

### თურქეთის პრემიერ-მინისტრი, ისლამისტი ნეჯმეთინ ერბაკანი ცდილობს ქვეყნის მმართველ ძალად რელიგია აქციოს. მისი მოწინააღმდეგენი ყურს არ იბერტყავენ, იმედოვნებენ რა, რომ შარიათი ადვილად გაითქვიფება დემოკრატიაში, მით უმეტეს, ევროპის მხარდაჭერაც თუ ექნებათ




ორ პოლიტიკურ მოხსენებას შორის მსმენელები ჯამბაზების ხელოვნებით, აღმოსავლური მუსიკის ჰანგებით, ეროვნული კერძებითა და ალუბლის წვენით ირთობენ თავს. თურქეთის ისლამისტურმა პარტიამ, რომელმაც წინადაცვეთის ეს დიდი „სახალხო" ზეიმი მოაწყო სტამბულის ერთ-ერთი უბნის პარკში, როგორც ამბობენ, თავი მოიქარგა. გარეუბნებში გარიყულ ადამიანებს, რომლებიც შიმშილს გამოექცნენ მშობლიური სოფლებიდან, „რეფაჰი" („წინსვლის პარტია") ახალ საბინაო პროგრამას, უფასო მკურნალობას, ტანსაცმელს, რამადანის დროს საკვებით მომარაგებას და ქალებისთვის სამკერვალო სკოლებს სთავაზობს. სწორედ ამ ადამიანების ხმების წყალობით (ამომრჩეველთა 21%) უკანასკნელი არჩევნების დროს, „რეფაჰი" თურქეთის წამყვანი პოლიტიკური პარტია გახდა. უფრო მეტიც: ზაფხულიდან მოყოლებული, ისლამისტები განაგებენ ქვეყანას „სამართლიანი გზის" პარტიასთან ერთად, რომელსაც სათავეში უდგას ერთობ ფოტოგენური და „პროდასავლელი", ყოფილი პრემიერ-მინისტრი თანსუ ჩილერი, რომელსაც, ჯერ კიდევ გუშინ, „ფუნდამენტალიზმის შავბნელი ძალების წინააღმდეგ მებრძოლად" სახავდნენ.

ნეჯმეთინ ერბაკანმა ისარგებლა მეტოქეთა ბანაკში არსებული განხეთქილებით. მან აგრეთვე გაითვალისწინა ანკარელი „ძლიერი ქალბატონის" მისწრაფება ძალაუფლებისაკენ და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი შესთავაზა, ამავდროულად შეპირდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ „დაასამარებდა" სასამართლოს მცდელობას, ბრალი დასდოს ჩილერს კორუფციაში. ყოველივე ეს საფუძვლად დაედო ერბაკანის საბოლოო გამარჯვებას და 70 წლის მიღწეული „ჰოჯა" (პატრონი, ბრძენი), როგორც მას მისი თანამზრახველები უწოდებენ, რეფაჰის პარტიის დამაარსებელი, გაქნილი და დემაგოგი პოლიტიკოსი, გახდა პრემიერ-მინისტრი მუსულმანური სამყაროს ერთადერთი საერო რესპუბლიკისა, რომელიც, ამასთან ერთად, ნატოს წევრიცაა.

ისლამის „ერთგული მებრძოლნი", რომლებსაც „წარმატების პარტიის" ქიბლემიანი (ხორბლის ღერო და ნახევარმთვარე) მაისურები აცვიათ, წინადაცვეთის ხალხმრავალ ზეიმზე წესრიგს იცავენ. „დისციპლინა, აი, რა გამოგვარჩევს ჩვენ სხვა პარტიებისაგან", – გვეუბნება უბნის ემირი მუზაფერ სერედი. იგი რეფაჰის ადგილობრივი უჯრედის ხელმძღვანელია. ქალაქის უბნები რამდენიმე ერთეულადაა დაყოფილი და თითოეულს თავისი ემირი ჰყავს, რომელიც, ერთდროულად, პარტიის მმართველი კომიტეტის წევრიცაა. „გსურს თუ არა, უსიტყვოდ უნდა დაემორჩილო იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მიღებულ ყოველ გადაწყვეტილებას. შენ მხოლოდ მათი პრაქტიკული გამოყენება გევალება", – გვიხსნის სერედი. პოლიტოლოგ ქაკირის აზრით, „რეფაჰი", როგორც პარტია „ისლამისტურია თავისი იდეოლოგიით, სტალინური თავისი წყობით და პოპულისტი თავის მომხრეთა საყვარო გამოსვლებით". „რეფაჰი" მონოლითური, ერთ მუშტად შეკრული რაზმია, განსხვავებით ცენტრისტული თუ მემარჯვენე პარტიებისაგან, რომლებსაც განგრენასავით გაუჯდა სხვადასხვა მაქინაციებში მონაწილეობა, ფულადი სახსრების დატაცება და პირადი ამბიციები. ქვეყნის აშკარად კორუმპირებული ტრადიციული ელიტის საწინააღმდეგოდ „რეფაჰმა" ჭკვიანურად გაითამაშა თავისი კარტი. ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მან სამჯერ გაზარდა საკუთარ ამომრჩეველთა რიცხვი და უკვე 1994 წლის აპრილში, 17 დიდ ქალაქში მოიპოვა გამარჯვება, მათ შორის, სტამბულსა და ანკარაში. „მომავალი ჩვენ გვეკუთვნის, – აცხადებს ფერჰათი, 19 წლის ყმაწვილი, საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი. – ჯერჯერობით, ჩვენ კოალიციურ მთავრობაში შევდგით ფეხი; შეგვიძლია ყველას გავაცნოთ ჩვენი პროგრამა და მოწოდება. მალე საკუთარ იმიჯსაც უკეთ წარმოვაჩენთ და მომავალ არჩევნებში გადამწყვეტ გამარჯვებას მივაღწევთ". „ფეტაჰის" ახალგაზრდული ორგანიზაციის ემირი, ბუმიამინ აკიც იზიარებს ამ შეხედულებას: „სულ უფრო მეტი ახალგაზრდა მოდის ჩვენთან. პარტია დიდ ყურადღებას უთმობს სკოლებში მუშაობას, – თავს იწონებს ახალგაზრდა ისლამისტთა შეფი. – ჩვენ დაწყებით სკოლებსაც არ ვუკაწყებთ და იქაც ვეძებთ თანამოაზრეთ". ეს ზაფხული აკმა ვაქთა უფასო ბანაკში გაატარა. „სადაც არდადეგებზე მყოფი ბავშვები სამხედრო წვრთნას გადიოდნენ". მსგავსი ბანაკები ქალიშვილებისთვისაც ფუნქციონირებს, პროგრამაშია ლოცვები, სპორტი და სასკოლო საგნები. „ჩვენი მიზანია შევქმნათ ერთსულოვანი ელიტარული ჯგუფი. ჩვენ გვჭირდება ახალგაზრდები ყველა სფეროში და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საფეხურზე" – გვიხსნის აკი.

„27 წლის მძიმე, მომქანცველი სვლის შემდეგ, თითქმის გზის ბოლოში გავედით" – ჩაჰყვირის მიკროფონს ჰაკი თურუნჩი, 44 წლის ეკონომისტი, პარტიის ერთ-ერთი დამაყოფის ემირი.

„რეფაჰის" წევრები ირანის რევოლუციის წვეროსან მებრძოლებს არ გვანან. მათ დასავლურ ყაიდაზე შეკერილი კოსტუმები აცვიათ, სამაგიეროდ, ბრბოში ხშირად მოჰკრავთ თვალს მანდილიან ქალებს. ისინი მოთმინებით ელიან თავიანთ ეს-ეს არის წინადაცვეთილ ვაჟიშვილებს, რომლებიც „ოპერაციის" შემდეგ, კარვებში იკრიბებიან ძალებს. მრავალფეროვან საჰაერო ბუშტებს შორის, 6-7 წლის „ნაოპერაციები" ბიჭები ჭრილობებს იშუშებენ. „ის" ადგილი სისხლიანი ჩვრებით აქვთ შეხვეული. წინადაცვეთის პროცედურა კი კონვეიერული წესით მიმდინარეობს.

შიშნაჭამ ბავშვებს, დასამშვიდებლად „რეფაჰის" ემბლემიან ჩანთებს სთავაზობენ. ჩანთაში წიგნაკი, რომლის ყდას სტამბულის ისლამისტი მერის სურათი ამშვენებს. წიგნთან ერთად ბავშვები სათამაშოს და მზის სათვალეს იღებენ საჩუქრად. „უფასო წინადაცვეთის წყალობით 2000 ბავშვმა გადადგა პირველი ნაბიჯი ისლამისკენ, – გაჰკივის მიკროფონი. – ჩვენ ერთადერთი პარტია ვართ, რომელსაც ხალხის ხსნა ძალუძს. ჩვენ გადავჭრით ყველა ეკონომიკურ, კულტურულ თუ სოციალურ პრობლემას, რომლებიც ამდენი ხნის განმავლობაში დაგროვდა და ჩვენ ქვეყანას მსოფლიო ლიდერად ვაქცევთ და, როგორც ეს წარსულში იყო, სამ კონტინენტზე ვიბატონებთ".

„რეფაჰი" არც მალავს ოტომანური იმპერიის დაუძლეველ ნოსტალგიას, მაგრამ ზომიერ გამოთქმებს ირჩევს, როდესაც სიტყვა ქემალ ათათურქზე მიდგება, „ხალხის მამაზე", რომელმაც „გააევროპელა" თურქეთი, საერო ხასიათი შესძინა სახელმწიფო ინსტიტუტებს, დასთმო არაბული ანბანი, დაშალა რელიგიური საძმოები და აკრძალა მრავალცოლიანობა. „60 წლის წინ, ერთ ღამეში, ჩვენ დავკარგეთ საკუთარი თავი", – შემოგჩივლა აკმა.

მსგავსი თავშეკავება ახლავს შარიათის (ისლამური კანონებისა და ქცევის ნორმების კრებული) საყოველთაოდ დაკანონებაზე საუბარსაც, რომელსაც ესწრაფვის „წინსვლის პარტია", თუმცა ქემალისტური კონსტიტუცია თვით სიტყვა „შარიათის" ხსენებასაც კრძალავს. „ჩვენ იძულებული ვართ შარიათის ნაცვლად ვიხმაროთ სიტყვათშეთანხმება „ნაციონალისტური მსოფლხედვა", – გვეუბნება აკი. – მაგრამ ახლა უკვე ვერავინ გაგვრიყავს პოლიტიკური ასპარეზიდან. დღეს ჩვენ ლეგალური პარტია ვართ. ჩვენ შეგვიძლია შიგნიდან შევცვალოთ სახელმწიფო სისტემას, რათა სწორედ ჩვენი თვალთახედვა გახდეს წარმართველი და გადამწყვეტი".

ვის დარჩება საბოლოო გამარჯვება? სისტემას თუ „რეფაჰს", რომელიც მის სახეცვლას ისახავს მიზნად? გაითქვიფება თუ არა ისლამიზმი დემოკრატიაში? როგორც ჩანს, ლიბერალები განგაშის ატეხვას არ აპირებენ. ისინი ირანში ერბაკანის ამასწინდელმა ვიზიტმაც ვერ დააფრთხო. თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტისთვის, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა თეირანი არჩია, რომელთანაც ხელი მოაწერა 20 მილიარდი დოლარის ღირებულების „გაზის კონტრაქტს" და ეს სწორედ ერთი კვირის თავზე მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „აიათოლების ქვეყანას" ნავთობის ემბარგო მოახვია თავს. „ერბაკანმა, ამ ხელმოწერით, ქელები შემატა თავისიანებს, – აღიარებს ცნობილი ჟურნალისტი და საერო მოღვაწე იარალი ქალისლარი. – მაგრამ ეს წმინდად სიმბოლური დამსახურებაა – ყველასათვის ცნობილია, რომ წინასწარ მოლაპარაკებას „ამერიკის ყველაზე დიდმა მოკავშირემ" თანსუ ჩილერმა [illegible]".

ლიბერალები დასცინიან კიდეც ერბაკანს. იმასაც აღნიშნავენ, რომ ერბაკანი ცდილობს „ტყავი შეიცვალოს", რათა როგორმე ფეხი აუწყოს რეალობის მოთხოვნებს. საარჩევნო კამპანიის დროს ერბაკანი მოითხოვდა „ისლამურ ნატოს" დაფუძნებას და ამასთან ერთად, ქებით მოიხსენიებდა პალესტინელი ისლამისტების ტერორისტულ დაჯგუფებას („ჰამაზი"). დღეს კი იგი ეთანხმება თავისი წინამორბედების პროდასავლურ პოლიტიკას და ამზადებს სამხედრო შეთანხმებას ისრაელთან.

ებრაული სახელმწიფო მზადაა გამოუყოს თურქეთს 457 მილიონი დოლარი საბრძოლო ავიაციის გასაძლიერებლად. ამასთან ერთად, იგი თანახმაა თურქეთის არმიამ მონაწილეობა მიიღოს ამერიკის შეერთებულ ერთობლივ საბრძოლო ოპერაციებში, რომლის მიზანია ერაყის ქურთების დაცვა. ერბაკანი უყოყმანოდ დაეთანხმა თურქეთის არმიის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას სამსახურიდან დაეთხოვა ცამეტი „რეაქციონერი" ოფიცერი, ე.ი. მებრძოლი ისლამის იდეების არმიაში გამტარებელი პიროვნებები. „ერბაკანი იმ მარათონელს ჰგავს, რომელსაც ფეხებზე ხუნდები ადევს", – სინანულით გვამცნობს „რეფაჰ"-ის თეორეტიკოსი აბდურაჰმან დილიპაქი, რათა როგორმე ახსნას „ჰოჯას" ნაკლებად ორთოდოქსალური ნაბიჯები.

„პოლიტიკურად, ერბაკანი, უპირველეს ყოვლისა, ოპორტუნისტია" – დაუფარავად გვიცხადებს ორალ ქალისლარი, რომელიც კარგად იცნობს „რეფაჰის" ბელადს. ისინი სამი წლის განმავლობაში საპატიმროს ერთსა და იმავე საკანს იყოფდნენ. ერბაკანმა თანხმობა მისცა მრავალეროვანი სამხედრო ძალების განლაგებას ერაყის საზღვრებზე, რის სანაცვლოდაც ამერიკისგან მიიღო დაპირება, რომ იგი დათანხმდებოდა ერაყის წინააღმდეგ მიმართული ემბარგოს შესუსტებას. ემბარგო ანკარას წინასწარ დაგეგმილი მოგების (20 მილიარდი დოლარი) დაკარგვად დაუჯდა. ეს კი დიდი დარტყმა იყო სესხებით მირგამოთხრილი ეკონომიკისავის და მზარდი ინფლაციით დასუსტებული ბიუჯეტისთვის. „სახელმწიფო ბიუჯეტის მესამედი სამოქალაქო ომს ხმარდება, რომელიც, აი უკვე 13 წელია არ ცხრება და რომელსაც 20000 ადამიანი შეეწირა, – გვეუბნება ქალისლარი, – ომმა ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ქაოსი გამოიწვია".

ძალისმიერი მეთოდების მომხრე თანსუ ჩილერი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ქურთების პრობლემის პოლიტიკურ გადაწყვეტას. საკმარისი იყო ინტელიგენციის რომელიმე წარმომადგენელს საწინააღმდეგო აზრი წამოცდენოდა და მყისვე სასამართლოში უკრავდნენ თავს. ერბაკანი ნელა და ფრთხილად, მაგრამ მაინც დგამს პირველ ნაბიჯებს მოლაპარაკების გზაზე. „რეფაჰს სჭირდება ქურთი ამომრჩევლები", – გვიხსნის ისტორიკოსი დოგან ქებანი ათათურქის საერო იდეალს რელიგიური ენაცვლება, რომელსაც, როგორც ეტყობა ძალუძს გადაჭრას მწვავე „ფეთქებადი" პრობლემა. გაუწევს თუ არა ამას ანგარიშს ქემალისტური ორთოდოქსის დამცველი არმია? „1998 წლიდან მოყოლებული არმიის შემადგენლობა შეიცვალა, – გვაფრთხილებს ქალაინოლღუ. – იგი ერთობ აჭრელდა. მე მეჩვენება, რომ არმია აღარ არის ძველებურად შემართული საერო ღირებულებების დასაცავად".

„ჩვენ აღარ მოვუწოდებთ იარაღით ხელში შევებრძოლოთ ისლამისტებს, – ამტკიცებს სოციოლოგი ნილუფერ გოლი. – ჩვენ სიტყვიერი პაექრობით ვთვარგლებით. თუკი ამ ძალას სისტემის გარეთ დავტოვებთ, იგი ტერორისტულ ორგანიზაციად მოგვევლინება". „ის, რაც თურქეთში ხდება, უნიკალური მოვლენაა, – აგრძელებს მინი კაბაში გამოწყობილი ჩვენი სიტყვაუხვი თანამოსაუბრე. – თუკი ევროპა კარებს გაგვიღებს და ზღურბლთან არ გვაყურყუტებს, თუკი მხარს არ აუბამს ერბაკანს, რომელიც ევროპას „ქრისტიანულ კლუბს" უწოდებს, მაშინ ჩვენ მოვახერხებთ ისლამიზმის მოთოკვას".

შანტალ დე რუდერი

(„ნუველ ობსერვატერი", 1996 წელი)

თარგმნა

გიორგი ეჭიხაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორის გვერდი — წუთიშესვენება

# ნოდარ დუმბაძის იუმორი

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



### მე მორწმუნე ვარ!

ნოდართან სტუმრად მეზობლის 5 წლის ბავშვია. ხედავს ხატს.

– ბიძია ნოდარ, თქვენ ცრუმორწმუნე ხართ?

– ცრუმორწმუნე, შვილო, მამაშენია, მე მორწმუნე ვარ!

### ბოლო პოეტი

ტარდება ლიტერატურული საღამო. წამყვანი აცხადებს:

– სიტყვა ეძლევა საქართველოს პირველ პოეტს...

ნოდარ დუმბაძეს მის გვერდით მჯდომმა პოეტმა ჩაუჩურჩულა:

– ნოდარ, მე რომ პირველი პოეტი მიწოდონ, ალბათ საქართველოში არც ერთი სხვა პოეტი ცოცხალი აღარ უნდა იყოს, არა?

ნოდარმა უთხრა (ასევე ჩურჩულით):

– თუ ყველა სხვა პოეტი აღარ იქნება, მაშინ შენზე გამოაცხადებენ: სიტყვა ეძლევა საქართველოს ბოლო პოეტს...

### ხრუშჩოვი

(ტარიელ ჭანტურიას ჩანაწერი)

ხმა გავრცელდა, ხრუშჩოვი ქართველებს ციმბირში გასახლებით ემუქრებაო.

იმ წელს თბილისში საოცრად აცივდა და თოვლიც დიდი დადო.

ნოდარმა ფანჯარაში გაიხედა:

– ე, ბიჭო, მგონი მართლა გაგვასახლა იმ უპატრონომ, ეს ყველაფერი რაღაცა არ ჰგავს საქართველოს!

### ლეჩხუმი და ლანჩხუთი

(იგონებს ჯანსულ ჩარკვიანი)

ნოდარ დუმბაძე დეპუტატობის კანდიდატად ცაგერის რაიონიდან, ორბელიდან წამოაყენეს. მთხოვა, ე, ბიჭო, კაცს არ ვიცნობ ლეჩხუმში, შენი მხარეა, წამომყევი და სიტყვა მითხარი, მხარი დამიჭირეო. წავედით, გაიხარეს ლეჩხუმელებმა, გადაყვნენ სტუმარს. სიტყვა მომცეს. შევდექი კათედრაზე და ასე დავიწყე. ლეჩხუმლებო, ჩემებურებო, სადმე რომ სამართალი იყოს, თქვენი დეპუტატი მე უნდა ვიყო, მაგრამ ცეკაში ლეჩხუმი და ლანჩხუთი აერიათ ერთმანეთში – მეთქი. ატყდა სიცილი, ხარხარი, ბოლოს, მოგეხსენებათ, პწკალზე შემწვარმა კალმახებმა დაგვასერიოზულეს.

* * *

ლეჩხუმიდან ხონში წავედით, თავისმოწონება უნდოდა ნოდარს დედულეთში, იქ დეიდა ეგულებოდა, უფრო სწორედ, დედის ბიძაშვილი. მიგვიყვანა ერთ მშვენიერ ოდა-სახლში, ბახტაძეებთან. ჯერ ნოდარი გადავიდა, შევიდა კოინდარით აბიბინებულ ეზოში, ქალი გამოეგება კდემამოსილებითა და იმერული თავაზობით. შორიდან ისე გამოჩნდა, რომ კარგად ვერ შეიცნეს ნოდარი, მაგრამ უცებ გადაეხვია ქალბატონი ნოდარს და ახლა ჩვენს გასაგონად შეჰკივლა: ვა, ბეჩა, ნოდარ, მეიყვანე სტუმრები, ჩქარა მეიყვანეო. გაჩაღდა ნარდი, ახლა ხაჭაპური, ახლა არაყი, ახლა ჩაი და ცოტა ხანში, კიდევ სამი მეზობელი გაჩნდა ეზოში. ქეიფი ეშხში იყო შესული (ნოდარი თამადობდა), როდესაც ლობეს ქოთქოთით მოადგა მჯობნის მჯობნი იმერელი ქალბატონი, ერთი ვაი-ვიშითა და გაკვირვებით. ნოდარია, შვილო, დედა, მომკალით ვილაცამ, ეს უცხო ოჯახი რომ შეგიწუხებია, შენი სახლი ველარ გიცვნია. აპა, საქმეა ეს?! ეზოში ნოდარის ნამდვილი დეიდა შემოვიდა, ის ქალბატონი, ვისთანაც თურმე უნდა მივსულიყავით. მე სიცილით ვიფხრიწებოდი, ნოდარი დეიდამისს კოცნიდა და ეუბნება: ახლა გვიანია, დეიდა, ამ პურმარილს ვერ მივატოვებ, დეიდა კი არა, დედა რომ ადგესო.

ის ღამე იქ გავატარეთ, მეორე დღეს ნამდვილ დეიდასთან გადავედით.



### მოსკოვში

(ლევან სანიკიძის ჩანაწერი)

ერთხელ, როცა ერთი დიდი პარტიული ფუნქციონერის ფერფლს კრემლის კედელში ასვენებდნენ, იქ დამსწრე ნოდარს უთქვამს: ძამა, ამ კედელს აგურს რომ აძრობენ და მის ადგილზე ფერფლს ტენიან, კედელიც ხომ წაიქცევა და სახაძ ეს არ მომხდარა და ჩვენთვის, ქართველებისათვის დაუბრალებიათ, აქედან მოვკურცხლოთ და გავასწროთო.

### ანდერძი

გაბრიელ მარკესისა არ იყოს, მეც მყავს ჩემი მარადიული ბებია ოლღა. იმ ბებიამ მიანდერძა:

– ისე იცხოვრე, ნენა, დილით რომ მოკვდები, შენმა შვილებმა საღამოს არ დაგმარხონ და ნურც ისე იზამ, მთლად დაუმარხავი დაგტოვონ...

### სოსოიას რუსი

(ჩაიწერა აკაკი გეწაძემ)

უნივერსიტეტში იხილავენ ნოდარ დუმბაძის რომანს „მე ვხედავ მზეს“. ერთმა ჰკითხა: ეს შენი „სოსოიას რუსი“ ამ რომანში საიდან გაჩნდაო? ნოდარმა მყისვე მიუგო: დალოცვილებო, საქართველოში ორასი ათასზე მეტი რუსია და ერთხელაც არავის უკითხავს, საიდან გაჩნდნენ აქ და ჩემს რომანში ერთი რუსის გაჩენა გიკვირთო?

### ქაჯები

ტარდება თათბირი „დონ კიხოტის“ ეკრანიზაციის საკითხებზე. რევაზ ჩხეიძემ თან ინგლისელი კოლეგა, გამოჩენილი კინორეჟისორი მოიყვანა. სტუმარმა შეკრების მიზეზი რომ გაიგო, გაიოცა: თუ კლასიკოსის გადაღება გნებავთ, შორს სადღა მიდიხართ, „ვეფხისტყაოსანი“ გადაიღეთ.

რევაზ ჩხეიძემ, „ქართული ფილმი“ ჯერ ვერ გრძნობს თავს საკმაოდ მომზადებულად ასეთი დონის ნაწარმოების საეკრანიზაციოდო.

– აი, ჩვენ კი „გავთავხედდით“, – თქვა ინგლისელმა, – „ქართულ ფილმთან“ ერთად გვინდა ამ ნაწარმოების გადაღება... მსახიობებიც კი შევარჩიეთ. თინათინს ითამაშებს ოდრი ჰეპბერნი, ნესტანდარეჯანს – სოფი ლორენი, ტარიელს – პიტერ ო ტული, ავთანდილს – ალენ დელონი, ფატმანს – ბრიჯიტ ბარდო, ფრიდონს – ენტონი ქუინი...

– რაღა ერთობლივი ფილმია, ჩვენ ვინღა უნდა ვითამაშოთ?! – ვერ დამალა უკმაყოფილება ვიღაცამ.

– როგორ თუ ვინ?! – საუბარში ჩაერია ნოდარი, – ამდენ ქაჯებს თამაში არ უნდა?

### ბესარიონ ჟღენტი

1954 წელს მოხდა ჩემს ცხოვრებაში ისეთი გაუგებრობა, რომ დამაპატიმრეს და ვიდრე გაერკვეოდნენ საქმის ვითარებაში და გამანთავისუფლებდნენ, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ბესო ჟღენტს, გამომცემლობამ ჩემი ლექსების წიგნი გეგმიდან ამოაგდო.

ციხიდან გამოსული ბატონ ბესოს ვეცი და ვუსაყვედურე:

– რაა, ბატონო ბესო, ეს ჩემი წიგნი გეგმიდან რომ ამოგიღიათ?!

– კაცო, შენ შენი თავი ნაზიმ ჰიქმეთი ხომ არ გგონია, ციხეში იჯდე და მე გარეთ ლექსები დაგიბეჭდო!..

### ჩანჩურები

(იგონებს ნოდარ მალაზონია)

ამას წინათ, ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეთხუთმეტე, ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტზე წიგნს ვკითხულობდი. თეთრ სახლში, ჯერ კიდევ თავის გემოზე მოუწყობელ ოვალურ კაბინეტში, მეორე დღესვე პრეზიდენტმა თავის უმცროს ძმას ედუარდს და მის უახლოეს მეგობარს პოლ ფეის უხმო. აბა, რას იტყვი, ადგილი გვეყოფა?! – ჰკითხა პრეზიდენტმა პოლ ფეის. – იცი, მე ისეთი შთაბეჭდილება მიპყრობს, რომ ყოველ წუთს შეუძლია ვიღაცას შემოვიდეს და გვიბრძანოს: „აბა, თქვენ, ტიპებო, სამთავემ მოუსვით აქედან!“ – უპასუხა მეგობარმა.

ამ ამბავმა 1958 წელი გამახსენა. საჯდომზე შარვალგამობღლვნილები მოსე ქარჩავა, ნოდარ დუმბაძე და მე „ნიანგის“ რედაქტორმა ელგუჯა მაღრაძემ ცენტრალურ კომიტეტში წარგვადგინა, როგორც რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი და მთავარი მხატვარი – განახლებული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრებად. ნოდარის მღელვარებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოსე ზედმეტად ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მე ამაოდ ვცდილობდი უშნო ხუმრობებით დუმბაძის გამხნევებას. გარეთ გამოსულებმა შვებით ამოვისუნთქეთ.

– კი მაგრამ, რა მოგივიდა მაინც ასეთი? – ცოტა ხნის შემდეგ ვკითხე ნოდარს.

– იცი რა? – ხელკავი გამიყარა მან, გვერდზე გამიხმო და მითხრა: – სულ იმას ვფიქრობდი, რომ დაგვიძახებენ, ამოდენა კარი რომ გაიღება და ჩვენ შიგ შევალთ, ვინმე რომ წამოდგეს და დაიყვიროს, „აბა! თქვენ, ჩანჩურებო, ახლავე მოუსვით სამთავემ აქედანო!“ – რა უნდა გვექნა?

### მოხვალ თუ მოვიდე?!

(იგონებს ჯანსულ ჩარკვიანი)

ნოდარ დუმბაძე მაშინ „ნიანგის“ რედაქტორი იყო, საკუთარი მანქანა ჰყავდა და საჭესთანაც თვითონ იჯდა. მანქანაში ვისხედით ნოდარი, მე და ზაურ ბოლქვაძე. ერთმა ინსპექტორმა გაგვაჩერა. ნოდარი არ გადმოსულა მანქანიდან, არადა, ინსპექტორი ნოდართან არ მოვიდა. ასე ვიდექით კარგა ხანს. მერე ნოდარმა გასძახა:

– ძამა, ან შენ მოდი და ფული წაიღე, ან მე მოვალ და ფული მომეცი!

### ჩაი

(ტარიელ ჭანტურიას ჩანაწერი)

„ნიანგის“ ერთი არაქართველი სტუმარი ბევრ ჩაის სვამდა, თანაც მდუღარეს. შეწუხდა ნოდარ დუმბაძე:

– ე, ბიჭო, მაგას რომ შარდის ბუშტი გაუსკდეს, საცოდავი ნამდვილად ფეხებს დაიმდუღრავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სევასტოპოლი - რუსეთის ფლოტის სახელოვანი წარსულისა და პოლიტიკური პროვოკაციების არენა

მეხუთე გვერდიდან

ნაბიჯი". სხვა სიტყვებით, მათ ამერიკელებს აგრძნობინეს – ჩვენ ვის საქმეშიც გვინდა, ჩავერევით და, რასაც გვინდა, შევედავებით, ეს თქვენი საქმე არ არისო.

მთელს ამ არეულობას წინ უძღოდა ელცინის უკრაინული ვიზიტის მრავალჯერ გადატანა. საზიარო კი ყველა ახალ უარს ერთადერთი ჰქონდა – ბოლომდე არ იყო შეთანხმებული შავი ზღვის ფლოტის მომავლის საკითხები. მაგრამ, როგორც ცნობილია, თუ მუჰამედი არ მიდის მთასთან, მთა თავად მივა მუჰამედთან. მოსკოვში დანიშნული ბისკის (შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის) სახელმწიფო მეთაურთა შეკრებით ისარგებლა უკრაინის პრეზიდენტმა კუჩმამ და ორი დღით ადრე – 23 ოქტომბერს ჩავიდა. შეხვდა ელცინსა და ჩერნომირდინს და, პირველ რიგში, სწორედ სევასტოპოლისა და ფლოტის გაყოფის საკითხები წამოჭრა. როგორც ჩანს, ლებედსა და ლუჟკოვზე უფრო პასუხისმგებელმა პირებმა მეტი წინდახედულება გამოიჩინეს. რადგან შეხვედრებიდან გამოტანილმა ინფორმაციამ დაადასტურა უკრაინის მთლიანობის მხარდაჭერა რუსეთის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მიერ.

მათ, ეტყობა, გამოცდილებით იციან, რომ ორმოცდათხუთმეტმილიონიანი უკრაინის მტრად წაკიდებას მასთან დიალოგი და მეგობრობა სჯობს. პირველი გზა რუსეთისთვის მაინც არაფრის მომტანია, საერთაშორისო უნდობლობის, პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების გარდა. უკრაინა ტაჯიკეთი არაა, მისთვის პირში ბურთის ჩაჩრა რომ შეიძლებოდეს. კიევი დღეს, საქართველოს მსგავსად, უარს ამბობს დსთ-ს სამხედრო და სასაზღვრო კავშირებში შესვლაზე, ერთიანი თავდაცვის სისტემის კატეგორიული მოწინააღმდეგეა, ამავე დროს კი ნატოსთან „განსაკუთრებული თანამშრომლობის" სტატუსისათვის ემზადება. საკითხი გადაწყვეტილია, ბრიუსელი სიხარულით თანხმდება აღმოსავლეთში ესოდენ ძლიერი მეგობრის შეძენას. ეს მშვენივრად იციან მოსკოვში და გულზე სკდებიან – ნატოზე ზეგავლენის ბერკეტები იქ არ გააჩნიათ და ახლა კიევზე ზეგავლენასაც აშკარად კარგავენ.

თუ ასე გაგრძელდა, თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ რუსეთში კიდევ ბევრ ყოფილ მოძმე რესპუბლიკაზე დაკარგავენ გავლენას. რადგან სევასტოპოლის დაბრუნების მოთხოვნასთან ერთად მადა გაეხსნებათ და ყაზახეთს იმავე პერიოდში გადაცემულ ჩრდილოეთის სტეპებს მოსთხოვენ, საქართველოს – წინა საუკუნეში თურქებისგან განთავისუფლებულ ბათუმსა და ახალციხეს. შემდეგ კი შეიძლება შეერთებულ შტატებს ალიასკის ნახევარკუნძულსაც შემოედავონ.

დღევანდელი მსოფლიო ამ წესებით ვერ იცხოვრებს. არსებული საზღვრების აღიარების გარეშე პლანეტაზე რაიმე სტაბილურობის შესახებ საუბარი აზრს კარგავს. ამ ქვეყნის მასშტაბებისა და ბირთვული პოტენციალის ხათრით რუსეთს მხოლოდ სევასტოპოლზე პრეტენზიების გამო არც გაეროდან გარიცხავენ და არც ეუთოდან, მაგრამ ყველამ, მანაც, ვინც დღეს მოსკოვში ხელისუფლებაშია და მანაც, ვინც მასში ხვალ მოსასვლელად ემზადება, უნდა გაიგოს, რომ ერთ ქალაქს შეიძლება გადააყოლონ დემოკრატიის გზაზე შემდგარი ქვეყნის მთელი ის ავტორიტეტი, რაც უკანასკნელ წლებში მოიპოვეს და, საბოლოოდ, დღევანდელი მოკავშირეებიც დსთ-ს ქვეყნების სახით.

თენგიზ გოგოტიშვილი

## რევაზ მიშველაძე: როდესაც იმის სახსრები არ გაქვს, რომ აფხაზეთიდან ოთხმოცდაათი დამწვარი ბიჭის გვამი ჩამოასვენო, რა სამეჯლისო საღამოებს მიტარებ?!

მესამე გვერდიდან

ობაა, რადგანაც მე შენ კატეგორიულად არ გთხოვ. თუ მაინცდამაინც ახლა ოპოზიცია. ხანდახან, ათასში ერთხელ გეტყვი, რომ ბოლოსდაბოლოს რამდენ ხანს გაგრძელდება ასე. მაგრამ იმას არ გეტყვი, პრინციპულად და კატეგორიულად რომ გაიყვანო ჯარი საქართველოდან. აი ამ დღეში ვართ ჩვენ.

**- რას იტყოდით ჩვენი პარლამენტის იმ სხდომის შესახებ, რომელიც აფხაზეთის საკითხს მიეძღვნა, თითქოს „ლრენის" ნოტები გაისმა ამ სხდომაზე? რას იტყოდით ზატულინის გამოსვლის შესახებ?**

- ჩვენ რომ „შლრენითს" ვუწოდებთ ახლა, ეს იყო სიმართლის პატარა, მბჟუტავი ალითება, პრინციპული პოზიციაზე დადგომა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა. რაც შეეხება ზატულინის განცხადებას, „რომ რუსეთის ჯარი გავა თუ არა საქართველოდან, სულ არ არის საქართველოს პარლამენტის საქმე, ეს არის ორივე მხარის საქმე", ეს სუფთა პროვოკაციული განცხადებაა. მსოფლიოს ყველა დონეზე და თვით რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებებში, სამმხრივი იქნება ეს, ორმხრივი თუ ოთხმხრივი, ლაპარაკია საქართველოს მთლიანობაზე. არავითარი მხარე აფხაზეთი არ არის. ის არსებობს, როგორც საქართველოში შემავალი ავტონომიური პოლიტიკური ერთეული. ახლა, თქვენ როგორ ფიქრობთ, ქვანიამ ან შევარდნაძემ არ იცის, რომ აფხაზეთს არავინ არ ჰკითხავს რუსის ჯარის გაყვანას? და რომ რუსის ჯარი საქართველოში მხოლოდდამხოლოდ შევარდნაძის მოთხოვნითაა ჩამომდგარი? და ახლა, რუსეთი ჟირინოვსკების და სხვა პროვოკატორების, შავრაზმელი ბრმანაციონალისტი რუსების პირით ასეთ ახალ პროვოკაციაზე წამოვიდა – თქვენ წერეთ და იკითხეთ, იხტუნეთ, რამდენიც გინდათ ქართველებმა, რუსის ჯარი საქართველოდან არ გავა, თუ ორივე მხარის სურვილი არ იქნებაო. მაგრამ რაც სურს არძინბას, ის საქართველოს არასოდეს არ ენდომება. ეს ჩვენი დადგენილება კი ბებრული, ცვედნური დადგენილებაა პარლამენტის. ამასობაში იქ არჩევნები დამთავრდება. დეკემბერში კი ჩვენი დელეგაცია იტყვის: სამწუხაროდ, აფხაზეთმა უკვე დააკანონა თავისი არჩევნების შედეგები. სამწუხაროდ, აფხაზეთს უკვე ჰყავს თავისი პარლამენტი და თავისი პრეზიდენტი და ჩვენ უკვე იძულებულნი ვართ აფხაზეთს, როგორც სამართლებრივ იურიდიულ ერთეულს, ისე ველაპარაკოთო. აი, აქ დამთავრდება აფხაზეთის დაბრუნების გეგმა. რადგანაც სისულელეზე მეტი სისულელეა. და ამას არ ფიქრობს არც ქვანია და არც შევარდნაძე, რომ ოდესმე ჩვენ მოგვივლენ ჭკვიანი პოლიტიკოსები, რომლებიც აფხაზეთს დაარწმუნებენ, არ გინდა შენ დამოუკიდებლობა. აგერ, შემოდი საქართველოში და ალაპარაკებს თვალებს, თავის კაცისმკვლელ წვრილ თვალებს, არძინბა და იტყვის: „უი, კაცო, სად მეძინა აქამდე. როგორი კარგად დამარწმუნეთ ქართველმა დიპლომატებმა, რომ აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არ უნდა არსებობდესო. ამას ველით ჩვენ? აი, რატომ მიმაჩნია დეგენერატი, მშიშარა, გაუბედავი, დამთმობ პოლიტიკად საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა.

ეს ერთი მიზეზია ჩემი ცუდ ხასიათზე ყოფნისა, ჩემო ძვირფასო.

მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ისევ და ისევ მოსკოვის კარნახით გრძელდება ქართველი ერის გაგრილება თავისი სამშობლოს ბედის მიმართ. ეს კიდევ უფრო დიდი უბედურებაა, ვიდრე სამაჩაბლოს და აფხაზეთის დაკარგვა. თქვენ ხედავთ ნახირივით მორიალე ბრბოს საქართველოში. ერთნი წამდაუწუმ გაიძახიან, ოღონდ უარესი ნუ იქნება, ოღონდ ომი ნუ იქნება და შევეგუოთ ამ მდგომარეობასო. მეორენი კი ამბობენ: ჩვენ მაინც ვერაფერს ვერ მივაღწევთ, ჩვენი ბედი მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა ჭიდილში წყდება, დავანებოთ თავი ბრძოლას, უიალქნო ნავივით შეცურდეს საქართველო მსოფლიო პოლიტიკის ოკეანეში და რომელ ყურესთანაც გააჩერებს ის დიდი ქარბორია მსოფლიო პოლიტიკისა, იქ გაჩერდება. ჩვენ მაინც ვერაფერს ვერ ვცვლითო. მესამე პოზიცია უფრო საშიშია. ეს მოსკოვის საიდუმლო სამსახურების და ქართველი მარიონეტების მიერ ატაცებული ტენდენციაა. აი, რა: ჩვენ ვყოფილვართ ძმათამკვლელი, მშიშარა, უვიცი, პოლიტიკურად გაუცნობიერებელი ერი. ჩვენ არც ომი შეგვძლებია, არც შრომა. - „გულისამრევი იყო" – წამდაუწუმ იმეორებს ერთი ქართველი პოეტი, - რომ ვდღეროდით, რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო. რა ჭკუაზე ვიყავით მაშინ? დროა, რომ ჩვენც შევიგნოთ, ჩვენ ვართ ავადმყოფი ერი და ჩვენ სრულიადაც არ შეგვიძლია დამოუკიდებლად ცხოვრება". ე.ი. ჩვენ ვიყოთ რუსის მონები, რუსის გუბერნია. აი, იმის გამო, მე საშინლად მწუხარე კაცი ვარ დღეს, ერთი ქართველი მწერალი – რეზო მიშველაძე. კიდევ უამრავი რამ კეთდება ქართველი ერის დასაცემნებლად და სამწუხაროდ, ნებით თუ უნებურად, ამას ჩვენი ხელისუფლება უწყობს ხელს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე იხსნება ბარები და კაფეები, შემოდის უამრავი ნარკოტიკული ნივთიერებები, ახალგაზრდები რომ გადაიყვანონ ეროვნული გზიდან. არიან, ცეკვა-თამაში, სტუდენტური დღეები, მეჯლისები, ცეკვები გაუთავებლად. ახალგაზრდობას, რა თქმა უნდა, უნდა ახლდეს ცეკვა-თამაში, მაგრამ შენ როდესაც იმის სახსრები არ გაქვს, რომ აფხაზეთიდან ოთხმოცდაათი დამწვარი ბიჭის გვამი ჩამოასვენო, ამ დროს რა სამეჯლისო საღამოებს მიტარებ?! ეს ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ ახალგაზრდობის, ერის რევოლუციურ ძალას და იმედს გადაახვევინონ რევოლუციური გზიდან. შეიყვანეს ფაქტიურად ჩიხში საქართველოს ახალგაზრდობა. ისინი ამას ვერ ხვდებიან. ხუთი წლის წინანდელი ახალგაზრდობის ადგილზე დღეს მოვიდა აბსოლუტურად ინდიფერენტული თაობა. ჩემს სტუდენტებს ვუთხარი, მამებმა, რაც შეგვეძლო, „ვიყეფეთ" ბაზალეთის უნივერსიტეტის გამო, დავწერეთ, დავბეჭდეთ. ჩავატარეთ კრებები. ახლა სრულიად უმტკივნეულოდ, ყოველგვარი შეიარაღების გარეშე, ზაფხულია, ათ-ათმა სტუდენტმა წაიღეთ გიტარა და საგზალი და სამ-სამი დღით კარავი ლაეცით ბაზალეთზე და რომ მოვა თურქული ტრაქტორი, უთხარით: „არა, ბიჭიკო, ჩვენ აქ თურქულ უნივერსიტეტს ვერ აგაშენებინებთ". ერთმა იცით, რა მიპასუხა?! „რა, პატივცემულო, ჯოხი ვურტყათ ტანკს, როგორც ის ვიღაც სულელი ურტყამდა ცხრა აპრილს?!" გული კინაღამ გამისკდა. მე ვუთხარი: „ბიჭო, ის ბიჭი, რომელიც ჯოხს ურტყამდა ტანკს, სამუდამოდ შემორჩა საქართველოს ისტორიას, როგორც ილაჯგაწყვეტილი საქართველოს სიმბოლო. შენ ვინ ხარ, ვინ მოსულხარ მის ადგილას?"

- მაინც არაფერი გამოვა პატივცემულო. სისულელეა ყველაფერი, საქართველო გაყიდულია! თუ უნდათ, იმ უნივერსიტეტს მაინც ააშენებენ, რასაც უნდათ, იმას გააკეთებენ. ამ განწყობაზე რომ დადგება საქართველოს ახალგაზრდობა (ღმერთმა ნუ ქნას ყველა ასე ფიქრობდეს), ის საქართველოს პატრონად ვერ გამოდგება და მაქვს მე საფუძველი ამის შემდეგ კარგ ხასიათზე ვიყო და მივიჩნიო, რომ საქართველოში ყველაფერი გაკეთდა? სანამ საქართველოს ხელისუფლება არ გამოაცხადებს, რომ საქართველოს შესვლა „ესენგეში" დროებითი იყო და არ გამოვა „ესენგედან", სანამ საქართველოს ხელისუფლება არ მოითხოვს ოკუპანტი რუსის ჯარის გაყვანას საქართველოდან, სანამ საქართველოს ხელისუფლება მსოფლიოს მასშტაბით, ყველა დონეზე და ყველა ტრიბუნაზე არ მოითხოვს სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაბრუნებას, იგი საქართველოს პატრონი და ეროვნული ხელისუფლება არასოდეს იქნება.

ესაუბრა
ლელა კოდალაშვილი



**თარაზულად:** 2. მოწყალე, კეთილი (ძველქართული სიტყვა); 5. ლუარსაბს ბოზბაში უყვარდა, დარეჯანს კი... 7. ძველი უბანი თბილისში; 9. საგლინავი დგანი ფოლადის დიდი ზოდებისათვის; 10. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 12. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 14. თამაში სპეციალურ მაგიდაზე; 16. ტილო ნავის, ხომალდის ასამოძრავებლად ქარის ძალის გამოყენებით; 17. მდინარე საფრანგეთში; 18. ფილმი სილვია კრისტელის მონაწილეობით; 21. ქალაქი კრასნოდარის მხარეში; 26. მცენარეული ნივთიერების ნაყენი ან სპირტით, ეთერზეთით და მისთანებით დამზადებული ნაყენი; 27. ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე (XIX საუკ.); 28. თავისუფალი საწვრთნელი ბრძოლა კრივში; 29. გუნდის წინ ჯოხს იქნევს; 30. კანფეტი.

**შვეულად:** 1. მთიულურ ცეკვათა ჯგუფის სახეობა; 2. მოსარჩლე, დამფარველი; 3. საქართველოს სუკ-ის ყოფილი შეფი; 4. პროვინციის, თემის, ქალაქის გამგე ძველ საქართველოში; 6. გერმანიის სახელმწიფო, იმპერია; 8. წყლის ცხოველი; 9. ხელოვანი, რომლისთვისაც მრავალი რესპუბლიკური თუ საერთაშორისო გამოფენის შემდეგ ხშირად უწოდებიათ: „ქართული გრაფიკის ოპიზარი", „ქართული შრიფტის ემირ-სპასალარი"; 11. ლექსი, რომლის სტრიქონთა თავკიდური ასოებისაგან გამოდის სიტყვა ან წინადადება; 12. საკონდიტრო და კულინარიული ნაწარმი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ათქვეფილი ცილა; 13. ფილმი რაჯ კაპურის მონაწილეობით; 14. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 15. მდინარე ჩინეთში; 19. უსწავლელი ანუ... 20. წნელის ბრტყელი წნული; 22. ბედის ცდით ალალბედზე მოქმედება; 23. მღვდლის სამოსი; 24. მდინარე საქართველოში; 25. კუნთოვანი ქსოვილი კბილის ფესვების გარშემო.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444